

832

1949



នគរាមី សេដ. សម្រ. - ៩០៩. ពេលចិត្ត សាច់លទ្ធភាព-ហុងកាទ់រំលែក ៩០៧កញ្ញា.

ភ្នំពេញ

ផ្លូវព្រៃន

“NOTRE DRAPEAU”

N° 3

បាន់ខែ

៩ ៩ ៣ ០ ៩ ០ ៩

Paris.

1949

მიმდინარე საკითხები.

5. საკითხები.

ეს რამდენიმე წელიწადია მთელი კაცობრიობა ლაპარაკობს ზაქარია, მაგრამ მისი ძირითადი პირობები არათუ არა არის მიღებული, არამედ არც კი არის გამომუშავებული და მოლაპარაკებული. დღის წესრიგში დგას ერთა მორიგება და საამისო ავტორიტეტიანი ორგანოს შექმნა. ეს საჭირობორო პრობლემა უკვე იკურობს ქვეყნის ყურადღებას და საჭიროებს ვრცელ საფუძვლიან ახსნა-განმარტებას.

არის ერთი წინასწარი პირობა, რომლის დაუცველობა არავითარ მშვიდობიანობას, არ დაამყარებს. ეს არის თანამედროვე მეთაური წრეების სავსებით დაშორება დიდი რევოლუციის მოძღვრებიდან შესახებ ადამიანის და საზოგადოებისა. აღარ არის წარმოდგენილი კაცობრიობა, თუნდაც მისი ერთი კუთხე, ერთი ნაწილი როგორც ერთი მთელი, ჭირში და ლხინში განუყრელი. გამეფდა ორი საზომი: გრძელი თავისთვის, მოკლე სხვებისთვის. ჰუმანიზმი, მორალი, პრინციპი დაიკარგა და მისი აღგილი დაიჭირა ეგრისმა, ჩემი ჩემია, შენიც ჩემია, მე თავისუფლება, შენ თუნდაც მონობა, მე ეს, არ მეხება, ერთისიტყვით, სხვისი ჭირი, ლობეს ჩხირი—აი ეს გახდა საზოგადო მოძღვრებათ, რის საფუძველზე მოეწყო ხახელმწიფო და ნაციონალური მორალი. მიუხედავათ ჩვენი ხაჯრძლივი ჩვენებისა საბჭოთა ყოველნაირ სიღუშირისა, დასავლეთი გულგრილათ შეყურებდა მას და ამბობდა—ეს ჩვენ არ გვეხება. სხვის საშინაო საქმეში არ ვერევითო. შედეგი ნათელია. ეს «სხვისი ჭირი» ყველას დაერია და მოგვცა დიდი მიზანი. და თუ ეს გზა კიდევ განაგრძო ევროპამ, მიიღებს დამსახურებულ ჯილდოს—გაუთავებელ ომს და მონობაში ჩავარდნას. აი ეს ხაზი უნდა იქნას დროს ამოგდებული და მის აღავსა აღდეგნილი დღეს მიიღისყებული დევლი ჰუმანიური, ადამიანური მიღომა საზოგადოებისათვის, მთელი კაცობრიობისათვის. ზავი არის საერთო ინტერესი; წინსვლა, განვითარება ყველასათვის მისალები და აუცილებელია. ძველებური კარხაკეტილობა, ერთიმეორისაგან დაშორება და მისმისდა ცხოვრება მოისპონ; მსოფლიო დაპატარავდა. აი ამ ობიექტიურ მდგომარეობას უნდა გაეწიოს ანგარიში და მის თანახმათ ამუშავდეს პოლიტიკური აზროვნება. ერთხელ და სამუდამო უნდა მოისპონ დღევანდელი აზროვნება—მოაწყოს მხო-



ლოდ თავისი შინაური ცხოვრება, ხოლო სხვისი ცხოვრება აიგულისას არ ეხება.

ამ ამ ვიწრო, ეგოისტური საზომის შეცვლა და საერთო ჰუმანიტარულის მიღება არის წინასწარი პირობა ნამდვილი ხანგრძლივი მშეიქმნანობის დამყარებისა.

რა იწვევს ომს? იწვევს სამი მიზეზი, ხან ერთად, ხან ცალკე. ესენია: მიზეზი პოლიტიკური, ნაციონალური და ეკონომიკური.

მიზეზი პოლიტიკური: ამის საბუთი ჩენ თვითონ ვიხილეთ წასულ ომში. სამი ერთნაირი ტირანია შეერთდა, პიტლერი, სტალინი და მუსოლინი ხელიხელ ჩაკიდებული გამოვიდნ და ასტეხს ომი. მაშასადამე, რეეიმის საკითხი თამაშობს გადამჭრელ როლს ამ სფეროშიაც. ყველა ომების ამტეხი იყო და არის რეაქციონური მართველობა; ნაპოლეონ პირველი, გერმანიის იმპერატორები, მათი მემკვიდრენი—ფაშისტები, რუსეთის მეფენი, მათი შემცვლელი—ბოლშევიკები—აი ყველა წასული ომების ავტორები. მაშასადამე, რეეიმის საკითხი არ არის ვიწრო ადგილობრივი ნაციონალური საკითხი; ეს ხება ყველა ერს და მაშასადამე, მის არსებობაში დაინტერესებულია კაცობრიობა. ერთხელ და სამუდამოთ უნდა იქმნას მიღებული, რომ მხოლოდ ერთად-ერთი რეეიმი, რომელიც იძლევა მშეიქმნანობას არის დემოკრატია, ხალხის ბატონობა და მეთაურობა სახელმწიფოსი. ხალხი ომის წინააღმდეგია პირველყველისა იმიტომ, რომ მას აწარმოვებს ის, სისხლს ლვრის, იყლიტება ის, ინგრევა მისი სახლკარი, მისი ქონება, იხოცება მისი შეილები—ერთისისტევით ხალხი ომის ბუნებრივი მოწინააღმდეგება. ომის მომხრენია ხალხებ გაბატონებული წრეები, რომელიც ომში არ გადიან და ხალხს მის მსხვერპლათ ხდიან.

მაშასადამე, რეეიმის საკითხი არ არის ადგილობრივი, ერთი ერის საკითხი. ის ერთნაირათ ეხება ყველა ერს და ამიტომ ესენი დაინტერესებულია მართველობის სისტემაში. დღეს მხოლოდ ერთ ქვეყანაშია ომის მომცემი რეეიმი, ეს არის საბჭოთა მართველობა. ვერავითარი ტირანია დიდხანს უომოთ ვერ იარსებებს. და თუ დააკეირდებით დღევანდველ მუშაობას მოსკოვისას, დაინახავთ, რომ ის დიდ მზადებაშია ამ მომავალი იარაღით გამოსვლისათვის. ამ მუშაობის პროგრამმა დიდი ხანია გამომუშავებული და გამოქვეყნებული აქვს სტალინს. მისი საბოლაო მიზანია ერთი: დამხობა დასავლეთი ევროპის და იქ გაბატონება კომუნისტური წყობილების. საშუალება ერთია: ომი პირდაპირ, ან ომი კოლონიალური ერების აჯანყებით ევროპის წინააღმდეგ. ის ამ დებულე-

ბებს ასე ახასიათებს თავის მოხსენებაში მეთუთხმეტე პარტი-
ულ ყრილობაზე 1927 წ. და რაც დაიბეჭდა შემდეგ. ის ამბობს:

«ჩვენ ვერ დავივიწყებთ ლენინის სიტყვებს თუ რა ბევ-
რია დამოკიდებული ჩვენი ამშენებლობის საქმეში იმაზე, თუ
შევსძლებთ გადადებას ომის კაპიტალისტურ ქვეყანასან, რა-
იცა აუცილებელია, ხოლო გადადება შეგვეძლება იმ დრომდე
სანამ არ დამწიფდება პროლეტარული რევოლუცია ევრო-
პაში ან და იმ მომენტამდე სანამ სავსებით არ დამწიფდება
კოლონიალური რევოლუციები... მსოფლიოს 1905 მილიონ
მცხოვრებთაგან 1134 მილიონი ცხოვრობს კოლონიებში თუ
სანახევროთ კოლონიებში, 143 მილიონია საბჭოთა იმპერია-
ში, 284 მილიონი შუაში მდებარე ქვეყნებში და მხოლოდ
336 მილიონი სხვილ იმპერიალისტურ ქვეყნებში, რომელიც
სტანჯავენ კოლონიებს თუ სანახევროთ კოლონიებს. ცხადია
კოლონიალური ქვეყნების გამოლვიძება გვაუწყებს მსრულია
კაპიტალიზმის გაქრობას».

აქედან ცხადია, ევროპის დაპყრობა ხდება ორნაირი სა-
შუალებით: პირდაპირ ომით და კოლონიების ამბოხებით.
პირველი მან უკვე სცადა, მიზანს ვერ მიაღწია. ახლა მიუდგა
მეორე ხაზს, რის მაგალითია ჩინეთის გასაბჭოება. ჩინეთის
კომუნისტების მეთაურმა მაოტსეტუნგმა უკვე გამოაცხადა:
«ჩვენ ვეკუთნით იმ ანტიიმპერიალისტურ ფრონტს, რომელ-
საც მეთაურობს საბჭოთა რუსეთი»—ო. ახლა მოსკოვი მუშა-
ობს ამ ხაზით და როცა მიზანს მიაღწევს, როცა კომუნისტუ-
რი ჩინეთი საომრათ მოემზადება მოსკოვი ევროპის წინააღმ-
დევ გამოვა თავისი შთავარი მიზნის მისაღწევათ. სტალინი
თავის სამოქმედო პროგრამას არ ივიწყებს, ის მას ახორციე-
ლებს და საბოლოო ომისათვის მუშაობს.

აი ეს დიდი საფრთხე დგას დასავლეთის წინაშე, ომიანო-
ბის აქტიური მატარებელი—მოსკოვი ამ დროისათვის ემზა-
დება და ზაქზე, ხანგრძლივ მშვიდობიანობაზე იმედების დამ-
ყარება ნიადაგს მოყლებულია. მშვიდობიანობის მომცემია
მხოლოდ ერთი საშუალება—საბჭოთა იმპერიის გადაყვანა
დემოკრატიის წყვიდვისაზე შინაური რევოლუციით ან სა-
გარეო გავლენით. ამ ხაზზე მუშაობა დასავლეთს არ დაუწყია,
არც უფიქრია. მებრძოლ ერთათვის თუ პარტიიებისათვის არა-
ვითარი დახმარება არ აღმოუჩენია.

ერთისიტყვით, მშვიდობიანობის დაცვის პოლიტიკურ
გარანტიას იძლევა ყოველნაირი დიქტატურის მოსპობა და
მის ალაგას დემოკრატიული წყობილების დამყარება. დღეს
მომსპარია ყველა დიქტატურა, გარდა ერთისა—მოსკოვისა.
უნდა ამოვარდეს ეს უკანასკნელი ნაშთიც ტირანიისა.

მიწეზი ნაციონალური.

საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ აღმართული დროშა, რაზედაც ეწერა ერთა თავისუფლება მოედვა მთელ ევროპას, მთელ კაცობრიობას და გახდა ყველა დაპყრობილ ხალხთა დროშათ. უკანასკნელ ას წელიწადს არა ერთი და ორი ომი ატესილა ამ ნიადაგზე, მრავალი ერები განთავისუფლებული და თავისი სახელმწიფო დაუარსებიათ. ომის ეს მუდმივი მიწეზი დლევანდლამდე ძალაში ჩატარდა. მრავალი ერი კიდევ მონობაშია და იბრძეს თავისუფლებისათვის. მაშასადამე, ომის ეს გაუთავებელი მიწეზი სამუდამოთ უნდა იქმნას ამოგდებული, ყველა ერს მიეცეს დამაკაყოფილებელი საერთაშორისო სტატუტი. ამ ხაზე დლეს დგას ყველა იმპერიალისტური სახელმწიფო, გარდა ერთისა—საბჭოებისა. უკანასკნელ დიდ ომში არც ერთ გამარჯვებულ სახელმწიფოს არ დაუპყრია სხვა ერი, გამონაკლისია აქაც ერთი, იგივე საბჭოთა იმპერია. მისი იმპერიალიზმი გაფართოვდა ტერიტორიალურათ, იარაღით ხელში. ე. ი. მოსკოვის ბატონები არიან წინააღმდეგი ერთა თავისუფლებისა. ამიტომ მათ ვაშინგტონის კონფერენციაზე შეიტანეს წინადადება—«მშვიდობიანობა იქნას დამყარებული ყველა დლეს თავისუფალ ერთა სუვერენიტეტი». ხოლო დლეს დაპყრობილი ერები ჩჩებიან მათ გარეთ. ომის წინ და ომის მსელელობაში რუსეთმა დაიპყრო მრავალი ერები. გააუქმა მათი ნაციონალური თავისუფლება. დატოვება ამ მდგომარეობის ნიშნავს მომავალი ომის მიწებების გაძლიერებას. დლეს ერთა თავისუფლება გახდა საერთო დროშათ, ამას ახორციელებს ყველა დიდი სახელმწიფო, დაწყებული ინგლისით, ყველა დაპყრობილთ ეს ლევა ახალი სტატუტი, ახალი უფლებები. ერთად ერთი გამონაკლისია რუსეთი.

არის კიდევ ერთი სადაო საკითხი, რაიცა იძლევა საბაბს ომის ატებისას. ეს არის თავისუფალი ერის საზღვრები. ყველაის ზავის მიერ ფანტასტიურათ მიჭრილ-მოჭრილი საზღვრები გახდა უახლოესი საბუთი ომის ატებისა. პიტლერმა ფეხზე დააყენა მთელი გერმანია დანციგის განთავისუფლების ლოზუნგით. აი ეს საბაბი უნდა მოესპოს ყველა ჯურის მილიტარისტებს. საშუალებაა ერთად-ერთი, ცნობილი—ეს არის სადაო ადგილების მოსახლეობის თავისუფალი პლებისციტი, მცხოვრებთა უმრავლესობის ნათესაური და პსიქოლოგიური მიღრეკილების გამორკვევა მათი დაკითხვით.

ერის თავისუფლება და ეროვნული საზღვრები ერთხელ და სამუდამოთ აღმოფხვრის ომის ნაციონალურ მიწებებს.

მიზეზი ეკვინოტიური.

პირველი დიდი ომის ნივთიერი მიზეზი ცნობილია და ნათელია. ვერსალმა ჩაეყრა ეკონომიურათ გერმანია თავის გეოგრაფიულ სახლებში, მას ჩამოართვა ყველა კოლონია, ყველა საგარეო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და შემოფარგლა მთელი მისი უმაღლესათ განვითარებული ინდუსტრია შინაური ბაზარით. ამავე დროს სხვა ინდუსტრიალურ ქვეყნებმა შექმნეს საკუთარი ბაზარი, შემოიდეს დიდი ბაჟები და განსაკუთრებითი ნებართვები გატან-შემოტანისათვის. გაიყვენ ამ რიგათ მსოფლიო ბაზარი და გაიადვილეს ახალ-ახალი კრიზისების ატანა. დემოკრატიული გერმანია ებრძოდა ამ თავის განმარტოვებას მშვიდობიანი საშუალებებით, მიზანს უკრ მიაღწია. არც ერთმა უცხო დემოკრატიამ მას მხარი არ დაუშირა. ყველამ ზურგი შეაქცია, ნაციონალური ეგოიზმი დაუპირდაპირა. აი ამ მდგრადიეობიდან იშვა თრი მიმდინარეობა და მას შეებრძოლა: კომუნიზმი და ნაციონი. ხალხმა მეორე აირჩია, პიტლერიზმი გაბატონდა. აქედან წარმოიშვა შეორე დიდი ომი. ცხადია, ომის ეკონომიური მიზეზია მსოფლიო ბაზრის მოუწესრიგებლობა, მსოფლიო ეკონომიკის უპატრონობა და მის ნიადაგზე საერთაშორისო მოცილეობა. დავის და შეჯახების შინაარსი ერთია: როგორ გაიყონ ქვეყნის სიმდიდრე, ვინ ვისის წართვას და გარიყოს. ასეთი საკითხი ისტორიულ წასულში არ იდგა: ის არის ლიძლი შვილი უკანასკნელი საუკუნე ნახევარის, სამრეწველო დარგის უმაღლესათ განვითარების. წინანდელი აგრარიული ეკონომიკა გზას უთმობს ინდუსტრიალურს, მსოფლიო ბაზრის ალორძინებას და აქ საერთო შეხლა-შემოხლას. თუ წინანდელი ომები იყო ადგილობრივი, ახლო-მახლო მცხოვრებთა შეჯახება წვრიმალ, არაეკონომიურ საკითხების გამო, ახლანდელი ომები გადაიქცა მსოფლიო შეჯახებათ, ქვეყნის ხელში ჩასაგდათ, ხალხთა ნაშრომის და სიმდიდრის დასაპატრონებლათ. თუ ეს საკითხი ერთხელ და სამუდამოთ არ მოვგარდა, ის გამოიწვევს მრავალ დიდ ომებს, რასაც გადაყვება ატლანტიკის კივილიზაცია, მსგავსათ მისი წინამორბედი კივილიზაციებისა.

რა გზით შეიძლება ამ საჭირობოროტო პრობლემის გადაჭრა?

ამის პირველი და მთავარი წამალია ერთი: თვითეული ერის ინდუსტრიალური ეკონომიკის ნაციონალიზაცია და სოციალიზაცია. ერი უნდა იყოს პატრონი და გამგე თავის ქონების და არა კერძო პირები. შრომის მიზანია იცხოვროს

ადამიანმა ადამიანურათ, დაიკმაყოფილოს თავისი ბუნებრივი მოთხოვნილებანი, იმუშაოს თავის სარჩენათ და თავის შთამომავლობის გასაგრძელებლათ. როგორც კი ამ ბუნებრივი კალაპოტიდან გამოღვან და ცოლების მიწნათ ისახავენ სიმღიდრის მოხვეჭას, ქონების ყველა საშუალებით დაგროვებას და მით საზოგადოებაზე გაბატონებას, ირყენება ეკონომიკის მთელი ბუნებრივი შინაარსი, მრუდფება მისი მიმართულება და ხდება საგნათ ბრძოლისა და დაუსრულებელი განხეთქილებისა. ე. ი. ეკონომიკა არის ორნაირი: ადამიანური და პლუტოკრატიული, სიცოცხლის შემნახველი და სიცოცხლის დამანგრეველი. დღეს მეფობს ეს მეორე ფორმა ეკონომიკისა. რატომ? იმიმიტომ რომ ერში მეფობს მისი მატარებელი ფენები. სამრეწველო ეკონომიკის წინანდელი მეთაურობა შეიცვალა ტრესტების და ფინანსისტების გაბატონებით, ე. ი. იმ ფენების, რომელნიც არც ხნავენ, არც თესვენ, არავითარ ნივთს არ ქმნიან, ხოლო სამკალი, შემოსავალი ყველაზე მეტი აქვთ. მომ ამათვის მისწრებაა, ეს მათი გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა. ამ წრების ალაგმვა. ბანკირების და საფინანსო კომპინატორების შეთაურობიდან გადარევა მოგვცემს საშუალებას ეკონომიკის მოწესრიგებისა, მშეიდობიან საფუძველზე გადაწყობისა ერში და ერთა შორის. ხალხის ეკონომიკური პრინციპი, რაიცა იფარგლება თავის შენახვის აუცილებლობით, უნდა გახდეს ნაციონალური ეკონომიკის პრინციპათ. ამ დებულების განხორციელება მოითხოვს დიდ სოციალურ რეფორმებს, პირველ ყოვლისა სხვილი საკუთრების ერისათვის გადაცემას, წვრილი საკუთრების ხელშეუხებლობას და ამ ორი დარგის ერთმანეთთან დაკავშირებით აწყობას. ამ პროცეს უნდა შეიმატოს მეორე: აგრარიული ქვეყნების სანახევროთ ინდუსტრიალიზაცია, ინდუსტრიალური ქვეყნების სანახევროთ აგრარიზაცია. ასეთ ეკონომიკაში თვითეული ერი შესძლებს იცხოვროს თავისივე ნაშრომით და არ იქნება იძულებული ეძიოს საქონელი უცხოეთში.

აი როცა ამ ეკონომიკურ, ნაციონალურ და პოლიტიკურ საფუძველზე აეწყობა ერთა მსოფლიო კავშირი, ომიანობა მოისპობა და მუდმივი, ურყევი მშეიდობიანობა დამყარდება.

6. ქ.

ო რ ი 8 0 8 1 რ თ უ ლ ე ბ ა.

პირველი დიდი ომის (1914—1918წ.წ.) შემდეგ საერთაშორისო საზოგადოებრივ აზროვნებაში ფეხს იყიდებდა იდეა, რომ ყველა ერს უფლება აქვს «თვითგამორკვევის» და დამოუკიდებლათ არსებობის; ახლად აღორძინებული პატარა სახელმწიფოებიც ამ დროს მატერიალურათ თუ არა, მორალურათ მაინც, ხშირად პოულობდნენ გამოქმავებას დიდი სახელმწიფოების შერიც.

ამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით ამ შეორე ომის შემდეგ, მიმართულება შეიცვალა: ახლა უფრო მეტს ლაპარაკობენ ერების სუვერენულ უფლებების შეკვეცის შესახებ, ვინემ ამ უფლებების მინიჭებისთვის იმ პატარა ერებისთვის, რომელიც ამას მოკლებული არიან.

დიდმა სახელმწიფოებმაც თავისი დამოკიდებულება «პატარებისადმი» გამოაშვარავეს ამ უკანასკნელ ომის დროს, სხვათა შორის, როცა სამი თუ ოთხი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელი მარტო სწყვეტდენ უდიდეს მნიშვნელობის საერთაშორისო საკითხებს, თუმცა ბევრი პატარა სახელმწიფო უაღრესად იყო დაინტერესებული ამ საკითხების გადაწყვეტაში, მომი დიდი მსხვერპლი პქონდათ გადებული და მომავალშიც საშიშროება უწინარეს სხვებისა მათ მოელოდა.

დიდი სახელმწიფოების საზოგადოებრივ აზროვნებაში ახლა ვრცელდება შეხედულება, თითქოს პატარა ერები რაღაც დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენენ კაცობრიობის წინსვლისთვის; რომ თანამედროვე ცხოვრების განვითარება, კერძოთ ეკონომიკურ სფეროში, ფართო სამოქმედო ასპარეზს მოითხოვს და ამიტომ პატარა სახელმწიფოს ჩარჩოებში ვერც ეკონომიკურათ და ვერც კულტურულათ ერი ვერ განვითარდება; რომ აწინდელ პროგრესს პატარა ერები ვერ ეზიარებიან, თუ არა დიდი ერების საშვალებით.

ამას ემატება სხვა გარემოებაც. ახალი ომის საშიშროებამ წარმოშვა სახეებით ბუნებრივი და პატივსადები აზრი, რომ ერთი მიმართულების და ერთი იდეიის მატარებელი სახელმწიფოები უნდა შეეკვშირდენ, რათა შეერთებული ძალით მოწინააღმდეგეს გაუძლონ ან, კიდევ მეტი, იმპერიალისტურ განზრახვებზე სულ აალებიონ მას ხელი. უდიდეს მნიშვნელობა ექნება ასეთ კავშირებს, რა თქმა უნდა, ომის შემდეგ ახლა გადარიცხებულ ქვეყნების ურთიერთ ეკონომიკურათ გასამაგრებლადაც. ამისთვის განსაკუთრებით პატარა სახელმწიფოები უნდა იყვენ დაინტერესებული შეკავშირებაში: ძალა ერთობაშია!

და აი, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ისე ამ შემთხვევაშიც სალსა და სამართლიან აზრს ბეჭრი უკანა-განზრახვები აეყიდა და ამან აამღვრია სწორი და საფუძვლიანი მიმართულება. პატარა ერების შეკაფშირების დადებითი მხარეების პროპაგანდასთან ერთად, ლაპარაკი მათი სისუსტის შესახებ ნიადაგს უკეთებს ხშირად იმპერიალისტურ სახელმწიფოებს პატარა ერებზე თავის დომინაციის გასამართლებლათ: «ჩენ თუ არა, სხვები დაიმორჩილებდენ, რადგან მათ დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლიათ!»-ი. ასე ამბობდენ ავსტრიის და ჩეხოსლოვაკიის შესახებ გერმანელები, ესტონიის, ლატვიის, ლიტვის, საქართველოს და სხვების შესახებ რუსები. ამიტომ დამპყრობელ ერების ლიბერალურათ მოაზროვნე წრეებს დიდ ბედნიერებათ მიაჩინათ პატარა ერებისთვის; თუ იმათ ავტონომიის ზოგიერთი უფლებები მიაწიცეს და მათთან «ფედერაციაში» დასტორვეს.

ამ საპით ერების თვითგამომორჩვევა და პატარა ერების განთავისუფლება ხდება «დიდების» მოწყალების საგნად და არა პრინციპის საკითხად: თავისუფალ ერების თავისუფალ ფედერალურაციის ადგილი უნდა დაიჭიროს ზევიდან მოვლინებულმა, აუცილებელმა—და უმეტეს შემთხვევაში, შესაძლებელია, იძულებითმა—ერების «ფედერაციამ» და «კავშირებმა».

ასე, ერთ დროს ზემოთ მიღებული საჯარო დეკლარაციები, ერთი თავისუფლებას ისეთივე ძირითად პრინციპათ რომ აღიაკებდენ კაცობრიობისთვის, როგორც თავისუფლებას ცალკე პიროვნებისას, ცარიელ სიტყვებათ დარჩებოდენ, თვითონ პატარა ერები რომ არ «ჯოუტობდენ» და არ იჩენდენ ძალას ეროვნულ თავისუფლებისა და დამოუკიდებლათ არსებობის მისი შემწევათ: ზოგი «დიდის» აშკარა წინააღმდეგობის და ზოგის მხრიდან დასაშვებათ მიჩნეულის!

რადგან ზემოთ აღნიშნულ მიმართულების პოპულარიზაცია ხდება და იგი საერთოდ ნიადაგის ძებნაშია, გავერკვეთ იქედან გამომდინარე ზოგიერთ საკითხებში. უმთავრესი ყურადღების ღირსია აქ პატარა ერების მდგრადრეობის საკითხი საერთაშორისო ოჯახში და მათი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობის უნარი.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ჩავიხედოთ ისტორიაში. მას შემდეგ, რაც კაცობრიობის ისტორია იწერება და საზოგადოების ცხოვრება სახელმწიფოებრივ ფორმებში ჩამოესხა, ქვეყნად არსებობდენ და არსებობდენ დიდი და პატარა სახელმწიფოები. დროთა განმავლობაში ბეჭრი იმათგანი გაპქრა, მაგრამ გაპქრენ როგორც პატარა, ისე დიდი სახელმწიფოები—ისეთი, რომელთა ხელისუფლება დედამიწის დიდ ნაწილს სწორებოდა.

ძნელი სათქმელია, თუ რომელს იმათგან უკეთესად ჰქონ-

და თავის დროზე ცხოვრება მოწყობილი, საზოგადოების მოთხოვნილებათა და კამაყოფილების მხრივ, ეკონომიკურათ, კულტურულათ. პოლიტიკურათ: დიდებს თუ პატარა სახელმწიფოებს? სად შეტკეთილდლეობას განიცილდა მოსახლეობა?

ევროპაში, მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, რომ თუ, ერთის მხრით, პატარა ერები ერთდებოდენ (ნებით თუ ძალ დატანებით) ერთ სახელმწიფოში, მეორე მხრით, ბევრი დიდი სახელმწიფო ნაწილდებოდა და პატარა სახელმწიფოებით ეწყობოდა. იყო პირები მოვლენა პროგრესიული, ხოლო მოვლენა უკანასკნელი უსათუოდ რეაქციონური, წინსვლის უკან მომაბრუნებელი?

რომის იმპერია, უდიდეს საზოგრებში გაშლილი, ბრწყინვალე და ძლიერი, თავისწავე ატარებდა თავის წიაღში მის დამშლელ ელემენტებს; ესენი იყვენ დაპყრობილი ხალხები, მის მიერ განიარაღებული და ამიტომ მისი მოჩინილი (prax romana); მაგრამ დაშორებული ცენტრს, როგორც სივრცით, ისე ინტერესებით—არავითარ მონაწილეობას მის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არ იღებდენ—ისინი გულგრილათ უყურებდენ რომის იმპერიის მომავალს და კეთილდღეობას. მეორე მხრით, დიდი იმპერიის ხარჯები იწვევდა სახელმწიფო გადასახადების ისეთ ზრდას, რომ ხშირად ამ იმპერიის ქვეშევრდობი მესაკუთრე სავსებით უარს ამბობდა თავის საკუთრებაზე, ვაწრები თავს ანებებდენ ალებ-მიცემობას და ხელოსნები სტოცებდენ თავის ხელობას. ხალხი მოკლებული იყო ყოველგვარ პატრიოტულ და ურთიერთ სოლიტარობის გრძნობას... იმპერია შიგნიდან ირლვეოდა.

მისგან გამოსული პატარა რესპუბლიკები—ვენეცია, ფლორენცია, უფრო გვიან პანიზის ქალაქები, პოლანდია და სსვები—უდიდეს როლს თამაშობდნ ძველი ევროპის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში და ბრწყინვალენ ქვეყნათ თავის მრეწველობით და ალებ-მიცემობით; იმიტომ, რომ ისინი შეკრული იყვენ თავის პატარა ტერიტორიაზე ურთიერთ ინტერესების გაგებით და გაერთიანებით, ალმურვილი იყვენ საერთო საქმისთვის—საზოგადოებისთვის—თავდაცვის და თავდადების გრძნობით, რადგან ამ პატარა ქვეყნების ყველა მცხოვრები თავს გრძნობდენ თავის ქვეყნის აქტიურ წევრათ, პირდაპირი მონაწილე იყვენ თავის პატარა ქვეყნის საქმეებში და მის სიყვარულით იყვენ აღზნებული; ყველა თავის ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო.

ჩვენს დროშიც ძლიერ არტახებით შეკრული იმპერიები, რუსეთის და ავსტრია-უნგრეთის, განა ისე არ დაიმსხერენ, რომ არც ერთ წრიდან, არც ერთ კუთხიდან მათ დამცველი არ აღმოჩენია? წინააღმდეგ, მათი წიაღიდან გამოსული პატარა რესპუბლიკების ხალხი—ჩეხოსლოვაკიაში, ავსტრიაში, ფინლანდიაში, ესტონიაში, ლატვიაში და სხვაგან—უდიდეს ენერგიას იჩენდენ შინ თავის ქვეყნის ეკონომიკურ და კულტუ-

რულ წარმატებისათვის და საერთაშორისო საუნივერსიტეტი მეტი მექენიზმათ ვინებ წინათ, როცა ისინი დიდი იმპერიის უბრალო პროვინციას წარმოადგენდენ. აქაც, ამ პატარა რესპუბლიკაში, ყველა თავის ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო და ის გულგრილობა, ის ინდიფერენტიზმი, ისინი წინათ საერთო საიმპერიო საქმებისადმი რომ იჩინდენ, შესცვალა აქტივობამ, საერთო საქმისთვის თავდატებამ და პატარა სამშობლოს სიყვარულმა, რადგან ყველა ახლოს იყო იმის საქმეებთან და იმის უშუალო მონაწილე გახდა. მხოლოდ გარედან მოსულ უხეშ ძალას შეეძლო დამსხვრია მათი ეროვნულ თავისუფლებასთან ერთად მათი კეთილდღეობაც.

მეცხრამეტე საუკუნეში გაბატონებული, პოლიტიკურ ეკონომიაში, კოსმოპოლიტური თეორია, რომლის თანახმად მსოფლიო არის წარმოდგენილი ერთ მთლიან საზოგადოებათ და მის შემადგენელს ცალკე-ცალკე ადამიანის ინდივიდუალურ საქმიანობას არავითარი დაბრკოლება წინ არ უნდა ელობებოდეს (ად. სმიტი და ლიბერალური შკოლა), გულისხმობდა განუსაზღვრელ არეს მოქმედებისას, მსოფლიო ბაზრებს, კოლონიებს, ალებ-მიცემობის სრულ თავისუფლებას. ასეთ მიმართულებას ცხოვრებამ სულ სხვანაირი სინამდვილე წინ დაუყენა, სახელდობ ის, რომ პიროვნების და კაცობრიობის შუა არსებობს ნაცია, ერი, თავის განსაზღვრულ ტერიტორიით, განსაკუთრებულ წარსულით და ისტორიით, ენით და ლიტერატურით, თავის ზნითა და ჩვეულებით, თავის საკუთარ კანონებით. ცალკე პიროვნებათა უმაღლესი ასოციაცია, დოემდის განხორციელებული, ეს არის: ერი, ეროვნული სახელმწიფო. ცალკე პიროვნება გადაების და უნდა გადაებას კაცობრიობას «ერის» საშალებით, იმის თავისებურობით, იმის საკუთარ სახით, საკუთარ კულტურით, შესაძლებლობით და შემოქმედებითი ძალებით (ფრ. ლისტი). ერთა კავშირი, სახელმწიფოთა ფედერაცია—იდეალი კაცობრიობის—თავისუფალ ერთა თანამშრომლობის ნიდაგზე უნდა აშენდეს; მაშინ იქნება იგი ცხოველმყოფელ ძალის მატარებელი და არა კიდობანი ერთი-მეორის მოწინააღმდეგ ელემენტების ან ინდიფერენტული უსიცოცხლო ირგანიზაცია.

კულტურისა და ეკონომიკურ ცხოვრების განვითარებამ კი არ შეასუსტა პატარა და დამორჩილებულ ერების ლტოლვა დამოუკიდებლათ არსებობისთვის, არამედ გააძლიერა რიგი; იმიტომ, რომ ცოდნა და ტექნიკა, წინათ ხელმისაწვდომი მხოლოდ რჩეულთათვის, დიდსა და მდიდარ სახელმწიფოსთვის, თანდათან გზას იკავავს ჩამორჩენილ ქვეყნებისკენ. ყველას-თვის ხელმისაწვდომი ხდება და მას პატარა ერებიც უკვე ეწიარენ. სწორეთ ტექნიკისა და ცოდნის განვითარების გამოხდება «პატარების» ემანსიბაცია «დიდებისაგან» და კოლონიების მეტროპოლიებისაგან. ამ უკანასკნელთა მიერ შექმნილი წარმოება საერთაშორისო და განუსაზღვრელ ბაზრების-

თვის იქუმშება, ძველს სააღებ-მიცემო ასპარეზს კარგავს და ხშირი ეკონომიური კრიზისების გამო დიდ გასაჭირებია ჩავარდნილი.

თვით ფინანსიურ კაპიტალის კონცენტრაცია და საერთაშორისო ორგანიზაციები უძლიერეს ტრესტებისა უპირველეს ყოვლისა ემუქრება ცალკე გიგანტებს, მათ ებრძვის და მათი კონკურენტია. თავის ქვეყნის პატარა სახლვრებში შეკრული პატარა სახელმწიფო ებურეობა კი გასაკვირალ ცხოველმყოფელობას იჩინს, გამძლეობას, გარემოებათ შევუებას და პირობებთან შეთვისებას.

ეს დაამტკიცეს ნათლად, სხვათა შორის, ამ მეორე დიდი ომის შემდეგ პატარა სახელმწიფო ებურეობა, აგრედავ გერმანიის ოკუპაციის ქვეშ რომ იმყოფებოდენ. იმათ-ნორვეგიამ, დანიამ, ჰოლანდიამ, ბელგიამ—გამოიჩინეს დამოუკიდებლათ არსებობის დიდი უნარი, უსახლვრო ენერგია და საუკეთესო მომზადება ქვეყნის სწრაფად აღდგნისთვის. კერძოთ, პატარა ბელგიამ არამც თუ თვალსაჩინო გავლენა მოიპოვა «გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში», არამედ პირველი ადგილიც დაიჭირა ეკონომის საქმეებში, როგორც თავის საკუთარ მდგომარეობის მოწყობით, ისე იმ როლით, რომელსაც იგი თამაშობს ახლა ეკონომის სახელმწიფოთა შორის, სადაც ზოგიერთ საერთაშორისო და საეკონომიკ საკითხებში (ფულის საკითხი და აღებ-მიცემობის მოწყობა) იგი დიდ-ბრიტანეთს გამოედავა და თითქმის ყველა სახელმწიფო ებურეობი თავის მხარეზე დარაზმა (მარტო ბ. სპაკის, უსათუოდ ფრიად მნიშვნელოვან, პიროვნებას არ მიეწერება ეს გარემოება).

თვალი ტადავაგლოო მაინც პატარა ერების ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას «დიდებთან» შედარებით ნორმალურ პირობებში, სახელმისამართის მეორე დიდი ომის წინ.

* *

მაგალითისთვის ავილოთ დაახლოებით ერთსა და იმავე გეოგრაფიულ, ისტორიულ და კულტურულ პირობებში მყოფი სახელმწიფოები, სახელმისამართი, ერთის მხრით, «დიდები»: დიდი-ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია; შეორე მხრით, «პატარები»: ბელგია, დანია, ჰოლანდია, ნორვეგია, შვეიცარია, ყველა ესხი დაახლოებით ერთნაირ გეოგრაფიულ და ისტორიულ გარემო ცულობაში იმყოფებოდენ, დაახლოებით ერთი მოდგმის ხალხებით იყვენ დასახლებული და ერთნაირ კულტურის ნიადაგზე ვითარდებოდენ.

რა უპირატესობა გამოიჩინეს «დიდებმა» ხალხის კეთილდღეობის მოსაწყობათ «პატარა» ერებთან შედარებით და რა აქლია ამ უკანასკნელთ ნივთიერათ და კულტურულათ «დიდებთან» შედარებით?

ყველა დასახელებული ქვეყნები დღეს ინდუსტრიალუ-

რათ განვითარებული არიან; ხოლო არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, როცა ყველა ამ ქვეყნების სახალხო მეურნეობის დიდს, და ზოგან უმთავრესს, წყაროს სოფლის მეურნეობა წარმოადგენდა. ამიტომ უწინარეს ყოვლისა სოფლის მეურნეობის საუკეთესოდ დაყენება ძირი ამ ქვეყნების შოსახლეობის უდიდეს ზრუნვის საგანი, და დღესაც მას იქ დიდი ყურადღება ექცევა. ვინ რა შედეგს მიაღწია ამ დარღმი?

მოსაგლიანობა სოფლის მეურნეობის უმთავრეს დარგის ხორბლეულობის—პურის (ასეთივე ქერის, ჭვავის და სხვ.) ურის ჰექტარზე საშუალოდ (1929—1930 წ.წ.):

გერმანიაში	2.090	კგრ.
საფრანგეთში	1.690	"
იტალიაში	1.480	"
შვეიცარიაში	2.190	"
ბელგიაში	2.500	"
დანიაში	3.080	"
პოლანდიაში	3.270	"

დაახლოებით ასეთსავე სურათს იძლევა საქონლის მოვლა-მოშენება. დიდ-ბრიტანეთმა, სადაც მე-18 საუკუნის დასასრულამდის მესაქონლეობა უდიდეს როლს თამაშობდა სახალხო მეურნეობაში, იმის საუკეთესო მოვლის წესები პატარა პოლანდიდან გადაიღო (შ. სენიოროსი).

გადავხედოთ ახლა მრეწველობის და აღებ-მიცემობის განვითარებას. ჩვენ არ შეგვიძლია, რასაკვირველია, ამ წერილში იმის სრული სურათის გადაშლა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ შევჩერდეთ იმის დამახასიათებელ ერთ-ერთ ნიშანზე, სახელმისამად, თუ რამდენს უდრის მონაწილეობა სხვადასხვა ქვეყნის ცალკე მცხოვრების საერთაშორისო აღებ-მიცემობაში (საქონლის ექსპორტი და იმპორტი).

საქონლის იმპორტი და ექსპორტი უწევს ადამიანის სულზე წლიურათ (1929 წ.):

დიუ-ბრიტანეთში	189	დოლარის
გერმანიაში	95	"
იტალიაში	45	"
საფრანგეთში	101	"
შვეიცარიაში	153	"
ნორვეგიაში	166	"
შვეიცარიაში	219	"
პოლანდიაში	220	"
დანიაში	237	"

ამნაირად, პატარა ქვეყნების მცხოვრებს ეკონომიკაში, ცალკე აღებულს, მეტი შეაქვს საერთაშორისო ეკონომიკურ ურ-

*) აქ და ქვევით ვემყარები ცნობებს, მოყვანილს Annuaire Statistique de la Soc. des Nat.

თიერთობაში, კინემ მცხოვრებს «დიდი» ქვეყნებისას, აგრეთვე ერთეულათ აღებულს.

ამავე დროს იგი მეტსაც ინახავს. კომერციულ ბანკებში და შემნახველ კასებში შესანახად მიბარებულ ფულის ოპერანბა მოსახლეობის ერთ სულჩე უდრის (1937წ. გასულს):^{*)}

დიდ-ბრიტანეთში 1.780 შევიც. ფრანკს

გერმანიაში	795	»	»
საფრანგეთში	310	»	»
იტალიაში	466	»	»
ნორვეგიაში	1.052	»	»
დანიაში	1.117	»	»
პოლანდიაში	633	»	»
შვეციაში	1.413	»	»
შვეიცარიაში	3.354	»	»

პატარა ნორვეგიის საკორო ფლოტს მეორე ადგილი ეჭირა, ამ ომის წინ, ევროპაში და მეოთხე მთელ მსოფლიოში (დიდი-ბრიტანეთი, ამერ. შეერთებული შტატები და იაპონია).

სახელმწიფოს ჩვეულებრივ ბიუჯეტით იხარჯებოდა მოსახლეობის ერთ თავზე (1937—1938 წ.):

დიდ-ბრიტანეთიში 415 შევიც. ფრანკი

გერმანიაში	219	»	»
საფრანგეთში	169	»	»
იტალიაში	95	»	»
შვეიცარიაში	137	»	»
ნორვეგიაში	179	»	»
შვეციაში	190	»	»
პოლანდიაში	240	»	»

დასასრულ, ერთი ნიშანი კიდევ მოსახლეობის კეთილდღეობის: ჯანმრთელობა, ყოველ 1.000 დაბადებულიდან იხოვება პირველსავე წელიწადს (საშუალოდ 1931—1935 წ.წ.):

დიდ-ბრიტანეთში 65

გერმანიაში	74
საფრანგეთში	73
იტალიაში	105
ბელგიაში	82
დანიაში	71
შვეციაში	50
შვეიცარიაში	48
ნორვეგიაში	45
პოლანდიაში	45

ამ არის საჭირო მაგალითების გამრავლება, მოყვანილი კნობებიც ხავმარისია იმის დასანახავათ, რომ საზოგადოების

^{*)} ამ თანხებში უსათუოდ შედის უცხოელების მიერ მიბარებული ფულიც.

კეთილდღეობა პატარა ქვეყნების არაფრით ჩამოუვარდება «დიდებისას» და ზოგჯერ სჯობის კიდეც იმას და პატარა ქვეყნის მოქალაქეს, ცალკე ალებულს, ხშირად მეტი შეაქვს საკაცობრიო სალაროში თავის წილათ, ვინემ მოქალაქეს დიდი სახელმწიფო ბისას.

და ამ ცხოველმყოფელ ძალას იჩენენ არა მარტო ძველი-დან ცნობილი პატარა სახელმწიფო ბი, არამედ ახლად აღორძინებულიც, მაგ. ფინლიიანდია, ესტონია, ლატვია და სხვები. ასე, ინდუსტრიის საერთო მდგომარეობა 1939 წელს წარმოადგენდა შემდეგ სურათს 1929 წელთან შედარებით (100), რო-ცა დიდი ეკონომიკური კრიზისი დაიწყო:

დიდი-ბრიტანეთი	122,2
გერმანია	128,4
საფრანგეთი	81,7
იტალია	100,4
ესტონია	153,4
ფინლიიანდია	168,4
ლატვია	170,6

ამნაირად, ტერიტორიის სივრცეს და მოსახლეობის სიმ-ცირეს—უმთავრეს ფაქტორებს სახელმწიფო ბრივ ცხოვრების განვითარებისთვის—რა თქმა უნდა, მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ხელი არ შეუშლია მაინც, როგორც ძველათ, ისე ჩვენს დროში, პატარა ქვეყნებისთვის შინაურ კეთილდღეობის მოსაწყობათ. ცხადია, იმათ ამისთვის მეტი ენერ-გიის გამოჩენა დასჭირდებოდათ.

ეს არ ნიშნავს, რასკვირველია, რომ პატარა ქვეყნები არ საჭიროებენ სხვა ქვეყნებთან ურთიერთობას; თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების განვითარება შეუძლებელია სხვადასხვა ქვეყნების ერთი-მეორესთან ეკონომიკურ ურთიერთობის გარეშე; ხოლო დიდი სახელმწიფო ბი ხშირად უფრო დამოკიდებულიც არიან სხვა ქვეყნებზე, ვინემ პატარები, რადგან «დიდების» მოთხოვნილება ნედლი მასალის და სავაჭრო ბაზრების უფრო დიდია.

ჩვენ უკვე ვსთვეით, რომ ცოდნისა და ტექნიკის განვითარება თანდათან აცილებს კოლონიებს და ჩამორჩენილ ხალხებს გაბატონებულ ერებს—ეკონომიკურათ. ხოლო, როგორც ერთ დროს ევროპილი ვაჭარი შემტანი იყო პორეზულ ქვეყნებში ევროპის ნაწარმოებთან ერთად ევროპის პოლიტიკურ გავლენის და შემდეგ დომინაციის, ისე ახლა ცოდნისა და ტექ-ნიკის გავრცელება კოლონიალურ და ჩამორჩენილ ქვეყნებში, ისე, როგორც პატარა სახელმწიფო ბი, ამშადებს ნიადაგს მათი «დიდი» ქვეყნებიდან პოლიტიკურ ემანსიპაციისთვის. ეს შეიქმნა ხალხთა განვითარების აუცილებელი საფე-ს ური.

ეს გარემოება ბატებს «დიდებში» ორნაირ მიმართულებას, სხვადასხვანაირ მსოფლმხედველობაზე დამყარებულს.

ერთია ძველი—ძალით დამორჩილება გარეშე ერების და მათი ძალით ჩატარება თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლრბიტაში. აქედან გამომდინარეობს თავისებური თეორიებიც ჰატარა ერების უძლურებაზე, ზოგი «დიდი» და რჩეულების თუ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მესსიანიზმზე, ყველა საჭირო საგნის თავის ტერიტორიაზე მოპოვების აუცილებლობაზე და ამისთვის «სასიცოცხლო სივრცის» საჭიროებაზე, ერების აუცილებელი—იგულისხმე იძულებითი—«კავშირებზე» და «ფედერაციებზე». ამ მიმართულებას დაადგენ ტოტალიტარული სახელმწიფოები; იმათვან გერმანია, იტალია, იაპონია მაგრა და ევრავენ მოწინააღმდეგ ძალას, მაგრამ სასტიკა დამარცხდენ. ამ გზას შერჩა ჯერჯერობით მხოლოდ საბჭოთა კავშირი.

მეორე მიმართულებას იჩენენ დასავლეთ ევროპის დიდი დემოკრატიული სახელმწიფოები. ინგლისი და საფრანგეთი გამოიყენება გავენ დამორჩილებულ ერების განმათავისულებელ მიმართულებას, როგორც გზას ისტორიულ აუცილებლობისას. ესენი ამზობინებენ მეგობრულ განწყობილებაში დარჩენას განთავისულებულ ერებთან და კოლონიებთან, ვინებ ძალატანებით ერთ ხას კიდევ მათ გაჩერებას მორჩილებაში. აქედან გამომდინარეობს როგორც ინგლისის, ისე საფრანგეთის, განსაკუთრებული ზრუნვა ეკონომიკურ აღმშენებლობაში განახლებულ და გაუმჯობესებულ ტექნიკის შემოსალებათ და ამით საერთაშორისო კონკურენციაში ყოფილ კოლონიების თუ სხვა გარეშე ერების თავის ეკონომიკურ გავლენის ქვეშ დასატოვებლათ და თავის არბიტრაში თავისულათ შემოსაყვანათ: მყარდება თავისუფალი პოლიტიკური ურთიერთობა და ისკუნება ეკონომიკური შეკავშირებანი (ბლოკი «დოლარის», «სტრანგის» და «ფრანგის»)—ასე ისახება გზა ამ მიმართულების.

რა თქმა უნდა, არიცე მიმართულება თავის საკუთარ ინტერესით ხელმძღვანელობს; ხოლ დემოკრატიულ ქვეყნებს იმედი აქვთ, რომ თავისუფალი ურთიერთობა გარეშე ქვეყნებთან ნელს შეუწყობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათ იმედი აქვთ, რომ თავის ნიშის, ცოდნის და გამოცდილების წყალობით ისინი გარეშე ერებთან თავისუფალ ურთიერთობაშიც გამონახავენ საშვალებას საერთო ინტერესების დასაცავათ. ტოტალიტარული სახელმწიფოები კი, როგორც შინ, ისე საერთაშორისო ურთიერთობაში ამ თავისულებას გაუჩინან; განკერძოებული პოლიტიკურათ სხვა ქვეყნებიდან, ისინი თავის საკუთარ სახალხო მეურნეობაში იცავენ ავტორკიას ანუ წესს მხოლოდ საკუთარ საშვალებით თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისას. რამდენათ ეს მოუხერხებელია, იმდენათ სისტემა მათი მართველობის მოით-



ხოცა სხვების დამორჩილებას, ძალატანებას; საერთაშორისო თანამშრომლობა ამ მიმართულებას—სულ ერთია მოდის იყი გარჯენიდან თუ გარცხიდან—ესმის, როგორც მორჩილება პატარა ერების «დიდებისადმი». ამ სენით, ტოტალისტურიზმით ნაკითნალურ საკითხში, ხშირად და სამწუხაროთ ისინიც არიან ავათ, ვინც სხვა სფეროში მტერია ყოველგვარ ტოტალისტურიზმის და უფლების უზურპაციის.

ରୂପା ଏମ ରାମକ୍ରୂଣିମ୍ବ ଟ୍ରେସ ଫିନାନ୍ସ ପ୍ରାର୍ଥାମ୍ ନିରାଳାନନ୍ଦାମ ତା-
ଙ୍ଗୀଶ ତାଙ୍କ ଶ୍ରୀଲିଙ୍କାଳ ଡାମରୁକ୍ଷୁରୀଯେବେଳ ର୍କ୍ସପ୍ରୁଦଲିଙ୍କାତ ଗାମୋ-
ପ୍ରେରାଦା ଓ ଅନ୍ଧାର-ଦର୍ଶିକାନ୍ତେଟିକେ ପ୍ରାଚୀରତାକ ଅଳ୍ପସ୍ଵର୍ତ୍ତଣ ମୁହଁର୍ଜ
କ୍ରାଫ୍ଟିରୀପ ଗାଲିପ୍ପାରୀରୀ, ଇନ୍ଦ୍ରାନୀଶ ମେଘ୍ରେମ ଓ ମତ୍ତାକ୍ଷରଦିଶେ ତା-
ମ୍ଭାଜନମାର୍ଗେ (ଦ. ପ୍ରାର୍ଥନିମ) ମାତ୍ର ମିଳନପ୍ରେତ ମିଳାର୍ଥତେ ଓ ଦେଖ-
ନେଇର ମନ୍ଦମାତ୍ରାଣୀ ଉପର୍ବ୍ରତୀୟେ ପ୍ରାଚୀରାକୀ, ଉଦ୍ଦେଶ୍ୟ ଏମ ସାହୁପ୍ରେଲିଶ୍ମି ଅ-
ନ୍ଧ ଦର୍ଶିକାନ୍ତେଟିକେ ନିର୍ଦ୍ଦେଶସ୍ଵର୍ଗିତ କ୍ଷେତ୍ରମରଣାନ୍ତରେକ୍.

გეგულებათ საღმე, მაგალითად, რუსის დემოკრატი, რომ ასე ესმიდეს თავის ქეყნის ინტერესი და რუსეთის იმპერიოდან ჩამოცილებულ ერს ბეჭნიერი მომავალი უსურეოს?

“ အောက် ပြနာဂုဏ်ပြနာနှင့်ရှိခိုင် ဘဏ္ဍာရီ၊ လျမ်းကြံလျှိုင်မြိုင်၊ ပြနာဂုဏ်ပြနာနှင့်ရှိခိုင် မြိုင်မြိုင် တွေဖြင့် ဖြစ်သူတွေ ဖြစ်ပါတယ်။

५०४

20040 2060336080 200 1880800

«ჩვენი დროშა»-ს მორიგ ნომრის მოლოდინში ისეთ დღი
ამბებძს პენდა ადგილი, იმდენი მდიდარი მასალა თავმო-
ყრილი, რომ ერთ წერილში მის თავის მოყრა, კლასიფიკა-
ცია და თითოეულ ამბის სათანადო გაშუქება ყოვლად შეუ-
ძლებელია.

ଶ୍ରୀରାଜିଲୋକ ଶାତାନୁରାଗ, ଶାମେଳନ୍ତରେ, ନେହା ରାମେଶ ଗାନ୍ଧୀଶ୍ଵର
«ମୁଖ୍ୟ ଶ୍ରେଣୀଶ୍ଵରିକା» ଏବଂ ଗ୍ରାମପାଲ୍ୟରେ ଦୁଇ ଏକ ଶ୍ରେଣୀଶ୍ଵରିକାଙ୍କ:

დღიდან ჩრდილო-ატლანტიკის პაქტის ხელის მოწყერისა
(4 აპრილი) დოპლომატიური საქმიანობა აჩვარებული ტემ-
პით მიღის; პაქტის ორივე კიბის მეორე დღეს პრეზ. ტრი-
უმანმა ეცნობის სამხედრო დახმარებისათვის 1.130 მილიონი
დოლარი გამოიხვავა; ამას მოყვა ამერიკის სამხედრო შტა-
ბის მეთაურთა ელისის ბური მოგზაურობა ევროპაში და მას
კი—ევროპის პარლამენტის ყრილობა სტრასბურგში, ერთი-
სიტყვით, გახსურებული ხელისი ერთ ბანაკში, მეორეში კი
სამარისებური სიჩქმე.

ରାସ ମହାଶ୍ରୀଙ୍କେବୁ ଆସିଗୁ କୁନ୍ତରିରାସରୁ? ମହାଶ୍ରୀଙ୍କୁ ପାପିରୁଖିଲୁ, ମିଳି ଶ୍ଵାସତାର ଶୂନ୍ଯଗୁଡ଼ିକ ରହିଥିଲୁଣାବୁ—ଏହିମୁଣ୍ଡରୀଙ୍କ ଦ୍ୱାରା ଉଚ୍ଚରାପିଲି କାନ୍ଦିବିଲୁଣାବୁ ପରେବା. ମହାଶ୍ରୀ ଆଶିନ୍ଦା-ଗାନ୍ଧାରିରୀଙ୍କ ମେଲାନିଧି କାନ୍ଦିବିଲୁଣାବୁ ପରେବା...
ଅଭିନନ୍ଦନାରୀଙ୍କ ଟାଙ୍କ ଦାତାମାଧ୍ୟାନିଲୁଣାବୁ...

სინამდვილეში კი მოსულების დუმილი მისი, ამ კამათ,

ევროპის ფრონტზე დამარცხებით აიხსნება. უდავოა, რომ დასავლეთში ბრძოლის ინიციატივა, ამ ღრმებით, ვაშინგტონის ხელში გადავიდა. უჩვეულოა მმარვია, მაგრა მაქს ფაქტია.

პრეზიდ. ტრიუმანის ადმინისტრაციამ მარშალის პლანით ევროპა იხსნა შინაური ნეტურეისაგან; ბერლინის ბლოკადის დამარცხებამ იგივე ევროპა გარეშე შემოსევისაგან გადაარჩინა.

სრულებით ბუნებრივია, რომ გამარჯვებული აქტივობას იჩენს და სასწაულ ზომებით მოპოვებულ პოზიციებს ამაგრებს.

ჩინეთში დიდი მარცხის შემდეგ, ამერიკის მთავარი პლატფარმი დასავლეთი ევროპაა: ამიტომ აქ არის დაგროვილი მთელი მისი ყურადღება; აქეთკენ არის მიმართული მთავარი მისი ფინანსისური და პოლიტიკური ლონისძიებანი.

თვით დასავლეთ ევროპის როლი დღემდე ამ არ ძალა ჭიდილში პასიურია; პოლიტიკურათ და ეკონომიკურათ ცალკე უჯრედებათ დაყოფილი, ურთიერთ წინააღმდეგობათა ქსელში გაბმული, დასავლეთი ევროპა დასთანხმდა მიეღო ამერიკისაგან დამარცხება; ამ უკანასკნელს იგი ლებულობს უგულოთ, ძალაუნდებურათ, ყოველივე აღტუნების გარეშე. ეს გასაგებია, თუ მიყიდვებთ მხედველობაში ამერიკის და მისი პარტნიორის მარტინალურ უთანაშორობას; ეს გარემოება მათ ურთიერთობას უფრო მფარველობას, ვიდრე თანასწორთა შორის თანამშრომლობას, წაგავს.

ჩვენის ცნობით, ბეჭის უკულმართობის მსგავს მაგალითს ადგილია არქონია, როგორიცაა სამყაროს მბრძნებელი, დიდი ბრიტანეთის მისი გუშინდელი კოლონიის პროტექციის ქვეშ მოქცევა. მართლადაც რომ განუზომელია ბეჭის დაცინგა!

ბეჭისა დაკრიულ დიდებაზე ხელის აღება; ხშირად იგი ხდება გაბოროტების და უანგარიშობრივი მოქმედების წყაროთ. უეჭველია, ასეთი სულიერი განწყობილება მთლათ არ არის მნიშვნელობას მოქლებული ინგლის-ამერიკის ურთიერთობის გაბზარვაში; მაგრამ ბოლოსდაბოლოს იგი ეკონომიკური ინადაგზეა დაფუძნებული.

ომისაგან დაღარიბებული, ყელამდე ვალში ჩაერდნილი, ინგლისი—ეს, ერთ დროს თავისუფალ გაცელა-გამოცელის კლასიკური ქვეყანა, დღეს პროტექციონისტის გზაზეა დამდგარი; იგი თავს იცავს ამერიკის ძლიერი კონკურენციისაგან წარმოების დაცვებით, კაპიტალის დაბანდების მოწყობით, იმპორტის შემცირებით და სტრულინგის თავისუფალ გადასურაცვების აკრძალვით; დაახლოებით ასეთივეა ევროპის სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკური პოლიტიკა გამოკლებით იტალია და ბელგიისა.

ამ ეკონომიკურ წინააღმდეგობაშია ჩრდილო-ატლანტიკის გაერთიანების სიძნელეთა მთელი კვანძი; ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (O.E.C.E.) თითქმის არის წლის



ცდა უნაყოფო გამოდგა; ცხადია, რომ ასეთ პირობებში ატ-
ლანტიკის პაქტი. ევროპის საბჭო, ევროპის პარლამენტი შე-
ნობის წინა სახეა; მშევნეობი არქიტექტურის სახეა, რასაც,
უკუკველია, თავისი ფასი აქვს, მაგრამ მაინც უსარძიკვლო შე-
ნობის სახეა.

ძნელია წინასწარ იმის თქმა, თუ რა ბედი მოელის დასა-
ვლეთ ევროპის პირველ წარმომადგენლობას; მისი კომპეტენ-
ციიდან ამოღებულია სწორედ ის საკითხები, რომელთა მოუ-
გვარებლობამ გაერთიანება შეაჩერა. სტრასბურგის ყრილ ო-
ბა მოგვაგონებს იმ ზღაპრულ გმირს, რომელიც წააწყდა უც-
ნობ კოშეს შემდეგი წარწერით: შემოხვალ ინანებ, არ შემო-
ხვალ ინანებო; თუ მან მისთვის განხომილ კიწრო ჩარჩოებში
მოიკალათა და კულტურულ პროცესებს; საწინააღმდეგო პოზი-
ციას კი შეუძლია გამოიწვიოს შინაური კონფლიქტი და ეს
დიდი წამოწყება საბოლოოთ დამალოს.

მიუხედავათ ასეთი მდგომარეობისა, არის თუ არა მიიჩ
იმედები ჩრდილო-ატლანტიკის ხალხთა გაერთიანების? ჩვე-
ნის აზრით, იმედის ნაპერწყალი მთლიან არ არის ჩამჯრალი;
გამოიშველ ფაქტორთან გვერდით მათ აერთებს საერთო ბე-
დი—ეროვნული თავდაუცველობა.

ამერიკის თაოსნობას დღესდღობით დეკლარატიული
და სიმბოლიური ბეჭედი აზის; იგი უფრო მოსკოვის მიმართ
გაფრთხილება, ვიდრე გამოწვევა. ამის ცოცხალ ხაბუთათ
შემდეგი ისტორიული მაგალითი გამოდგება: ვილჰელმ შეა-
რეს თავის დროზე ბრიტანეთის მთავრობისაგან გარკვეული
გაფრთხილება რომ მიეღო, ის ამოღებულ ხმას 1914 წ. ქარ-
ქაში ჩააგებდა; ამის მაგიერ კაცობრიობამ ორი კატასტრო-
ფა გადაიტანა და ასეთ მესამეს მოლოდინშია. კაპიტალის-
ტურ რეეიმში ღმის წარმომშობი ღრმა მიზეზები ჩვენთვის
უცნობია არ არის; მიუხედავათ ამისა ღმიანობის თარიღის
გადაწყვეტა პატარა საქმეთ არ მიგვაჩნია. მას შეუძლ ია მთლია-
ნათ შესცვალოს მოვლენათა მთლი სახე.

თუ დასავლეთ ევროპის გაერთიანების პერსპექტივები
უმშეობის სურათს არ იძლევა, ევროპის შუაგული—ერმა-
ნიის მდგომარეობა, მეტი რომ არა ვთქვათ, რთულზე ურთუ-
ლებია. როგორც ვიცით უპირობო კაპიტულაციამ ეს ქვე-
ყანა, ორათ გატრილი, 70 მილიონიან სულით, ცარიელ ადგი-
ლიათ აქცია.

ოთხი წლის დაუშევეტელი ენერგიით მუშაობა დასჭირ-
დათ მოკავშირეთ, რომ მდგომარეობა ალენდგინათ და ევრო-
პის ამ უმნიშვნელეს კუთხისათვის სახელმწიფო აპარატის
რაღაც მზადვი რამ მიეცათ. რა შედეგები მოყვა არჩევნებს?
1) კომუნისტების გავლენა ინდუსტრიალურ რაიონებშიდაც
მინიმალური (7%) აღმოჩნდა; და 2) მომავალი მთავრობის
ხელმძღვანელობა ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას ერგო.

მოგვწონს ჩვენ ეს თუ არა, სამართლიანობა შოთაოვეს ვალიაროთ, რომ ეკრაპის სახოვალოებრივ სფეროში მხოლოდ ორი ძალა სჩანს დაპირდაპირებული: კომფორტი და ვატიკანის ინტერნაციონალი (მეორე ინტერნაციონალი არ სჩანს და მასში შემავალი ეროვნული პარტიები ამ ბრძოლაში დამსხმარე ძალის როლით კმაყოფილდებია); მათ შორის საქვემდებრების სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული და ამერიკაც ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობაზეა უმთავრესათ დაყრდნობილი ეკრაპის გაყომუნისტების საწინააღმდეგო ბრძოლაში; ეკრაპის ყველა ქვეყნებში ერთიდანიგივე სურათია—მოსკოვის და ვატიკანის ხელჩართული ბრძოლა.

გერმანიის არჩევნებში უდავთ დასაცლეთის, ან უკეთ ამერიკასთან მორიგების ტენდენცია გმილსჩანს; ახლა კი დასაცლეთხა დამოკიდებული ამ ტენდენციის გაღრმავება და ძლიერ მიმართულებათ ჩამოყალიბება. პიტლერი ვერსალის ხელშეკრულობის რეაქციიშვა და ვეიმარის კონსტიტუცია დასაცლეთის უყურადღებობამ გამოასალმა წუთისოფელს.

ნიშნავს კი ასეთი გაცხოველებული ამერიკის თაოსნობა, რომ მან საესპერი ხელი აიღო მოსკოვთან, თუნდაც დროებით, მორიგებაზე? სრულიადაც არა.

კაპიტალისტურ დიპლომატიას თავისებური სამხარეულო აქვს: იქ ყველა კერძი ერთდაიგივე წვენზე მზადება. «Business-ის ჯადოსნული მცნება, რაც ომის დროს მტერთანაც იარაღის ვაჭრობის საშუალებას იძლევა—ამჟამათ მით უმეტეს. «გამოანგარიშებული» რისკის ნიადაგზე ტიტოსთან უკვე საქმიანი ურთიერთობაა გაჩაღებული; ამერიკა მოსკოვის სხვა «სატელიტებთანაც» მზათ არის იმავე ნიადაგზე ივაჭროს; თვით მოსკოვი ხომ შედამ განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო და ასეთივე აარჩა. სენატორი ბარუხი, რასაკეირველია, ვაშინგტონის მთავრობის დასტურით, ვაკლენდიან ფინანსისტთა და მრეწველთა ჯგუფის სახელით მუდმივ კონტაქტშია პირადათ სტალინთან. მშგავსი პარალელიზმი რ.რი სახეა ერთიდაიგივე მოვლენის და ჩინებულათ თავსდება ამერიკის საქმიანობაში. მოსკოვის ეკონომიკურ მდგრმარების სიძნელემ და ამერიკაში კრიზისის მოღოლინის შიშმა უფრო დიდი როლი ითამაშა ბერლინის ბლოკადის მოხსნაში, ვიდრე საპარაზო ხიდმა.

ამ პირობებში ძნელია გარკვევა, თუ რა უახლოეს მიზანს ისახავს ამერიკა მოსკოვის მიმართ. უნდა მას მისი ექსპანსიის შეჩერება, თუ ეკრაპიდან განდევნა? საინტერესოა ალინიშნოს, რომ ვალტერ ლიპმანი, ვაშინგტონის «პორტ-პარლამატ» ცნობილი, დაუღალავათ იცავს საბჭოსთან მორიგებას მისი 1914 წლის სახლვრებში ალდგენით.

აპბ. ტექნიკური.

ა გ ვ ი ს ტ ი

პატარა უიარალო ერი არ შეუშინდა მის მიწა-წყალზე
 გაბატონებულ ტლანქ მტერს, მოთმინებიდან გამოსულმა მას
 კვეთა და ბრძოლაში გმირულად დაეცა. იგი იყო მარტო,
 სულით მავარი, ფიზიკურად სუსტი, მრავალ-რიცხვით მტრის
 წინაამდეგ გულ-მყერდით მიშეერილი. მისი ბრძოლის ყიჯინა
 ცას წვდებოდა, ქვეყნიერებას მოედა, გამოხმაურება პოვა,
 მაგრამ მაშველი არავინ გამოჩნდა, მართალი საქმისთვის მე-
 ბრძოლ ერს გვერდში არავინ ამოუდგა. მტერმაც შური იძია,
 სისხლის მორევი დააყენა, ათასობით ქართველი ტყვიით გან-
 ვმირა, ცეცხლსა და მახვილს მისცა სოფლები და ქალაქები-
 აგვისტომ ერის ყველა ნაწილი შეაღულა, გააერთიანა, ერთ
 ფრთხოებები დარამა, ერთი მისწრაფებით გააცავა. აგვისტო
 სასოწარკვეთილი ცდა იყო მონობის ულლის გადაგდებისა,
 თავისუფლების დაბრუნებისა.

დროთა ბრუნვის გზაზე აგვისტოს აჯანყება რჩება მუდ-
 მივი საგანი ჩატიქერების, შესწავლის, იგი არაა მარტო ამბავი-
 ისტორიული, არამედ პოლიტიკური, რომელიც გვიკარნა-
 ხებს სხვა განმათავისუფლებელ საშუალებათა ძებნას, რადგან
 იგი იყო ლოლიკური დასკვნა წინა წლების ეროვნულ მოძრა-
 ობათა ფორმის, მრავალ კუთხურ აჯანყებათა დასასრული,
 დაბოლავება ბრძოლის ერთი ხაინისა და რჩება ერის გულის
 სიღრმეში, —ბრწყინვალე გმირობის მაგალითებით.

ქართველ ერმ სისხლით ჩასწერა თავის ისტორიის ფურ-
 ცლებებები გარდაუვალი სურვილი თავისუდლების მოპოებისა
 და მისი შენარჩუნების.

ამ აჯანყებაში გამოჩნდა ერის სულგრძელობა და კეთილ-
 შობილება, მას შური არ უძიებია და დატყვევებულ კომუ-
 ნისტებს ფიზიკურად არ გასწორებია, თუმცა ამის გამართ-
 ლება იმ დღეებში ადვილად შეიძლებოდა... გამარჯვებულ
 მტერმა ასეთ სულგრძელობას ბარბაროსობით უპასუხა...

მორალური გამარჯვება ერის მხარეზე დარჩა, რამაც
 იგი სულიერად გააჭავა, წყლულთ განბანას შეუდგა, წელში-
 კვლავ გაიმართა, მომავალს იმედით დაუწყო ცქერა რომ მო-
 მზადებული შეხვდეს ყოველგვარ მოვლენას და ბრძოლის-
 იალქნის სწორი წარმართვით გამარჯვებული გავიდეს სანა-
 პირობე.

პ. ს.

გარევალი სოციალ-დემოკრატია.

1. შესრულდა 56 წელი მას შემდეგ, რაც საქართველოში სოციალ-დემოკრატია გამოვიდა საზოგილო ასპარეზზე საქუთარი სოციალური დანაციონალური პროგრამით: ბატონობა ხალხის, ბატონობა ერის, სოციალიზმი—აი ამ პროგრამის ძირითადი მუხლები.

2. ის დაუპირდაპირდა რუსეთის თვითმშეყრობელობას, დიდ მემამულეთა მიწათმფლობელობას და კაპიტალისტების გაბარინებას საქართველოში.

3. ის აღმოჩნდა და განვითარდა სოულიად დამოუკიდებლათ რუსეთის ასეთსაც მიმდინარეობისაგან. ათი წლის შუშაობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პატარა ერის რევოლუციური ძალა სრულიად არ კმარა დიდი რუსეთის ულელის დასამხმბათ და გადასწყვიტა შეერთებოდა რუსეთის ასეთსაც დაჯგუფებას და საერთო ბრძოლით თავისი დროშის გამარჯვებას. ეს შეერთება მოხდა 1903 წელს საერთო ყრილობაზე ლონდონში.

4. ეს გაერთიანება ჩამოყალიბდა ერთი ძირითადი საერთო მოთხოვნილების პირველ რიგში დაყენებით, რომლის განხორციელება კარს ულებდა დანარჩენ მოთხოვნილების გატარებას. ეს მთავარი მიზანი იყო მეფის რეების დაცემა და ხალხური რესპუბლიკის დაარსება.

5. პირველ აღორებულ რევოლუციურ ტალღამ თვითმშეყრობელობა დასჭრა, მაგრამ ვერ მოსპო. იწყება დუმის პერიოდი. ყველა ოთხივე დუმის დეპუტატებათ ქართველი ხალხი ირჩევდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატებს, ერთის გამოყენებით (სოციალისტ ფრაგიალისტი). ყველა ოთხივე დუმის სოციალ დემოკრატიულ ფრაგიას მთელი რუსეთისას მეთაურობდენ ქართველი სოციალ-დემოკრატები.

6. მეორეთ აღორებულ რევოლუციურ ტალღამ, 1917 წ., დაამხო მეფის რეები, გამოაცხადა დემოკრატიული რესპუბლიკა. ამ დიადი გადატეხის მთავარ ორგანოს, პეტერბურგის მუშათა ანტიბოლშევიკურ საბჭოს, მეთაურობდა ქართველი სოციალ-დემოკრატი, მეოთხე დუმის წევრი, არჩეული ერთხმათ მის თავმჯდომარეთ.

7. ქართველი სოციალ-დემოკრატია დაუპირდაპირდა ბოლშევიკებს თავიდანვე, მისი აღმოჩნდების დღიდანვე, ლონდონის კონგრესზე. პირველათ ის გამოვიდა მის წინააღმდეგ პრინციპიალური კრიტიკით საერთო რუსეთის მასშტაბით¹⁾. მაშინ როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატები მას ედავე-

¹⁾ 1905 წ. დაიბეჭდა ქართულათ ეურ. «სოციალ-დემოკრატი». და შემდეგ რუსულათ წიგნაკათ «უმცირესობა თუ უმოავლესობა».



ბოლენ ორგანიზაციული მოტივებით. საქართველოში მან საეჭებით გაანადგურა მათი ორგანიზაციული წყობა, გაანივა მათი გავლენა მუშათა კლასზე.

8. ამიტომ როცა რუსეთში აღსდგა ძველი რუსულ-აზიური სულისკვეთება და ის დაუბრუნდა ეკატერინე მეფის წინ არსებულ სოციალურ წყობას, გაბატონებულს ბოლშევიკების მეთაურობით, საქართველოში ძალაში დარჩა ევროპიული სულისკვეთება და მთელ რევოლიუციურ ასპარეზს დაეპატრონენ ქართველი სოციალ-დემოკრატები^{*)}). მათ პირველთ ახლა მიეცათ საშუალება განხორციელებით თავისი პროგრამა.

9. საქართველოს და რუსეთის სავალი გზები საქვეყნოთ გაიყარენ, რაციცა ჩამოყალიბდა შესაფერ ნაციონალურ, პოლიტიკურ და სოციალურ ფორმებში. პირველ ყოვლისა საქართველო ჩამოშორდა რუსეთს და გამოაცხადა თავისი სახელმწიფო ბრივი დამოუკიდებლობა, ასი წლის წინეთ შეწყვეტილი რუსეთის ჯარების მიერ; ყველა რევოლიუციურ ორგანოებს და ერის ნაციონალურ მთავრობას მეთაურობდენ სოციალ-დემოკრატები, მათ მისდევდენ, მათ მეთაურობას სცნობდენ ყველა ნაციონალურათ და პროვორესიულათ მოაზროვნე დაჯგუფებანი მთელი ერისა. საქართველოს ირგვლივ აგორებულ რუსულ ბოლშევიკურ ტალღებს, რუსის გაბოლშევიკებულ მილიონიან ჯარებს დაუპირდაპირდა ერთი მთლიან ნაციონალური ფრონტი.

10. მთელ ძეველ რუსულ იმპერიაში ერთადერთი საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ კუთხეს, სადაც მეფობდა მყუდროება, წესიერება და ინსტიტუტინა თავისუფლების საფუძველზე. მის ირგვლივ ანთებული კოცონი სამოქალაქო ომისა მის სხეულს სრულიად არ მიეკარა, მის არცერთ ნაწილს და წესს არ გადაედგა. ერის მეთაურის სოციალ-დემოკრატიის ასეთი უმაგალითო ხაყოფიერი შემოქმედება აიხსნება მისი ძირითადი თვისებებით, რითაც ის განსხვავდებოდა და განსხვავდება დღესაც რუსეთის და დასავლეთის ახეთსავე მიმდინარეობისაგან:

ა. მისი სოციალიზმი იყო და არის რევოლიუციური და არა პარლამენტარული, საარჩევნო, საკარიერო და სალაპარაკო ხასიათის;

ბ. მისი დემოკრატიზმი იყო და არის ურყევათ ხალხური, ანტიბურჟუაზიულ-პლუტოკრატიული, ანტითავად-აზნაურულ-პომეშიიკური;

გ. ის იყო და არის მომხრე და შემქნელი ერის სამი კლასის ბლოკის: გლეხების, მუშების და წვრილი ბურჟუაზიის.

^{*)} სიტყვა: «მენშევიკი—უმცირესი» ეხება მხოლოდ რუს სოციალ-დემოკრატებს და არა ქართველთ, რომელნიც არა-სოდეს არ ყოფილან თავის ქვეყანაში უმცირესობაში.

ეს ბლოკი, მცხოვრებთა ეს დიდი უმრავლესობა, არის ბატონი და პატრონი მთელი ერის, წინამდლოლი მისი საგალი გჟების, მისი ყოფა-ცხოვრების ამწყობი და დამწყობი. ნაციონალური ბურჟუაზიის უყოლობის გამო, მის გარეთ დარჩა მხოლოდ მემამულეთა კლასი, ძევლი ისტორიული თავადაზნაურობა, რომელიც დაემორჩილა ისტორიის განაჩენს და უბრძოლველათ, უკონტრ-რევოლიუციონ გაყვა ერის უმრავლესობას.

ქართველი სოციალ-დემოკრატიის სოციალიზმი და დემოკრატიზმი იყო და არის მართლაც თავისებური უაღრესათ ნაციონალური და ხალხური, რაიცა გაკვირვებით აღინიშნა დასავლეთის სოციალ-დემოკრატიის მეთაურმა კ. კაუციგმ თავის წიგნში «საქართველო». სოციალიზმი ერის სამსახურში—აი რა აწერია თავიდანვე მის დროშას.

11. რაჯი ქართული სოციალიზმი იყო უაღრესათ ნაციონალური, ამიტომ პირველი მისი რეფორმატორული ნაბიჯი შეიცავდა ერის დიდი უმრავლესობის—გლეხობის ინტერესების დაცვას, მისი დაბალი სოციალური საფეხურიდან მაღლა ამოყვანას და ერის ფუძეთ გამოცხადებას. ეს კი იქნა შესრულებული აგრარიული რეფორმით. მიწათმფლობელთა წოდებას ჩამოერთვა უსასყიდლო მამულები და ყველა სახნა-ნაც-სათესი მიწები დაურიგდა უმიწაწყლო და მცირე მესაკუთრე გლეხობას, ხოლო დიდი გაშენებული მამულები, ტყეები და საბალახოები გამოცხადდა ნაციონალურ საკუთრებათ.

12. ერის ხელში გადავიდა აგრეთვე მთამადნები, გზები, წყლები, კულტურულათ დამუშავებული სხვილი მამულები, რის გაყოფა იქნებოდა ეკონომიკური უკანდახევა, და აგრეთვე რუსის ხაზინის მთელი ქონება საქართველოში დარჩენილი.

13. ამნაირათ, საქართველოში დამყარდა კოორდინაცია, მოთანხმება სახელმწიფო და კერძო ეკონომიკას შორის. სხვილი ნაციონალური და წერილი კერძო საკუთრება შეიქმნა ახალი საქართველოს სოციალურ ფუძეთ.

14. ქართველი მუშათა კლასი დებულობს ყველა მისთვის მიუკითხებელ რეფორმებს ამ კერძო და ნაციონალური საკუთრების ფარგლებში და მჭიდრო ეკავშირება ერის უმრავლესობას—მცირე მესაკუთრეთა კლასს, რომელსაც ის იმავე დროს უწევს მეთაურობას სოციალ-დემოკრატიის დროშით.

15. ეს ახალი, ხალხური, საქართველო თავის საგარეო პოლიტიკას აწყობს ორ დებულებაზე: თავის ძევლი საზღვრების აღთვენა და მისი დაცვა გარედან შემოსევისაგან. პირველი ამოცანა მან დიდებულათ შეასრულა. მან დაიბრუნა ოლქები ბათომის, ართვინის და არდაგანის. 1918 წლიდან, საქართველოს დამოუკიდებლობას ცნობენ ჯერ დაქტიურათ, შემდეგ იურიდიულათ ეკრობის ყველა სახელმწიფოები. მისი დამოუკიდებლობა იცნო აგრეთვე განსაკუთრებული ხელშეკრულობით რუსეთის საბჭოთა მთავრობამ.

16. ამ ნაციონალურ და სოციალურ გარდაქმნას აგვირ-
ვენებს ხალის პოლიტიკური გაბატონება. მას მიეცა ყველა
თავისუფლება, გარდა ერთისა—ნაციონალური და სოცია-
ლური წყობის დანგრევისა, მის წინააღმდეგ ბრძოლისა.

17. ქვეყნის უმაღლეს გამგეთ გამოცხადდა ერთპალატიი-
ნი პარლამენტი, უპარლამენტარიზმოთ. მთავრობა ირჩეოდა
მის მიერ ვადით, რომლის განმავლობაში მისი შეცვლა სხვა-
დასხვა საარჩევნო კომისია ციფრით არ შეიძლებოდა, მთავ-
რობა ასრულებდა პარლამენტის დადგენილებებს. უმაღლესი
პოლიტიკური ხელმძღვანელობა და პასუხისმგებლობა დაე-
კისრა მთავრობის თავმჯდომარეს, რომელიც იმავე დროს
იყო შეფი სახელმწიფოსი. ხალხს მიეცა უფლება კანონმდებ-
ლობის ინიციატივის და გამოცემული კანონის გადაშინვის
(რეფერენცუმი).

18. აი ეს ახალი საქართველო, გამთლიანებული ტერი-
ტორიალურათ, სულიერათ და ნაციონალურათ შექმნა ხან-
გრძლივ სახალხო მოძრაობაშ სოციალ-დემოკრატიის მეთაუ-
რობით და თავდადებით, რაიცა იქმნა თაღასტურებული თი-
თქმის ერთხმათ დამფუძნებელი კრების არჩევნებით (1919 წ.).
დეპუტატთა ოთხმოცი პროცენტი ეკუთვნოდა სოციალ დე-
მოკრატიას, ხოლო დანარჩენი დაჯგუფებანი—სოციალისტ-
უედერალისტები და ნაციონალ-დემოკრატები მთავარ საკი-
თხებში არ განსხვავდებოდენ მართველი პარტიისაგან.

19. საქართველოს დაპყრობისათანავე მოსკოვის მიერ
იგივე სოციალ-დემოკრატია ეწყობა არალეგალურ, სარდაჭ-
ლო ორგანიზაციებში, აჩალებს ბრძოლას სოცუპარიო ხელი-
სუფლების წინააღმდეგ და თავის ირგვლივ იკრებს ყველა
თავდადებულ მებრძოლს. ეს ბრძოლა გრძელდება 1921 წლი-
დან დღევანდლამდე: მას შეეწირა მრავალი მსხვერპლი, დაი-
ხვრიტა ათასობით საუკეთესო მებრძოლნი, მაგრამ ის ვერ
ჩაყლეს, ვერ შეაჩერეს ტირანებმა ვერავითარი ზომით. ამავე
დროს დამფუძნებელი კრების მიერ ევროპაში გამოგზავნილი
ნაციონალური მთავრობა მთელი ამ წესის განმავლობაში ეწე-
ვა პოლიტიკურ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ და სა-
ქართველოს გასანთავისუფლებლათ. საქართველოს სოციალ-
დემოკრ. პარტიის წარმომადგენლობას არ გაუშვია არც ერ-
თი შემთხვევა, არც ერთი ყრილობა სოციალისტურ ინტერ-
ნაციონალისა რომ არ დაესვას საქართველოს საკითხი. ერთა
ლიგა, პარლამენტები, უზრნალ-განხეთები, კონგრესები ხდე-
ბოდენ ამ საკითხის მთავარ ასპარეზათ. ის ისმოდა აგრეთვე
ყველა მთავრობათა წინაშე.

20. მთელ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართველი
სოციალ-დემოკრატია მუშაობდა აშკარათ, ლეგალურათ მხო-
ლოდ ოთხ წელიწადს (1917—1921). საქართველოს დამოუკი-
დებლობის ხანაში. მთელი დანარჩენი დრო ის ეწეოდა ბრძო-
ლას და ეწევა დღეს არალეგალურათ, კონსპირატიულათ, სა-

იდუმლო ორგანიზაციების საშუალებით, არალეგალური პრე-
 სით, ჩემი კრებით და სიტყვიერი პროპაგანდით, დროის
 დროს კი ქუჩაზე გამოსვლით, დემონსტრაციებით და აჯანყე-
 ბებით. ამავე არალეგალურ პრეროდში ის ხელიდან არ უშ-
 ვებდა არც ერთ ლეგალურ შემთხვევას, რომ თავისი პრინცი-
 პები საჯაროთ არ გამოიყინა. მთელ იმპერიაში ლეგალურ
 სოციალისტურ უზრუნველმა იწყო გამოსვლა პირველად მხო-
 ლოდ საქართველოში ქართულ ენაზე («კვალი», 1898 წ.). მა-
 ნამდე კი ის იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ლეგალურ
 ორგანოებში.

მონარქიულ და ბოლშევიკურ ტირანიამ კერავითარი რე-
 პრესიებით მისი მუშაობა ვერ შეახერა, ვერ ჩაქლა. საქართ-
 ველის სოციალ-დემოკრატია დარწმუნებულია იმაში, რომ,
 როგორც დაეცა მისი პირველი მტრი, ცარისმი, დაცუმა
 აგრეთვე მისი მეორე მტრი კომუნიზმი და თვით დარჩება-
 საბოლოოთ გამარჯვებული.

სოციალისტური ინტერნაციონალი.

ომის პრეროდში სოციალისტური ინტერნაციონალი აზ-
 შეკრებილა და არც რამე რეზოლუცია მიუღია.

ომის შემდეგ ის ამოძრავდა, რამოდენიმეჯერ შეიკრიბა-
 და გამოიტანა სხვადასხვა დადგენილებანი. და აი აქ გამოირ-
 კვა ერთი მოულოდნელი გარამოება: ის ალა სცნობს თავის-
 წევრებათ და არც იწვევს თავის კრებძნებებს საბჭოთა მიერ დე-
 ვნილ სოციალისტურ პარტიებს, არც ქართველს, არც რუს-
 და არც რომელიმე სხვა ერისას. ინტერნაციონალი შეიცავს
 დღეს მხოლოდ დასაცავთო ევროპის თავისუფალ სოციალი-
 სტურ პარტიებს. დატვეს თავის გარეშე აგრეთვე სლავიან-
 თა სახელმწიფოთა დევნილი პარტიები. ამ თრი კვირის წინ
 შეიკრიბა ის ჰოლანდიაში და ამ უკანასკნელთა შესახებ მი-
 იღეს შემდეგი დადგენილება: მათ შეადგინონ საერთო კომი-
 ტეტი, რომლის წარმომადგენელი იქნება დაშვებული ინტერ-
 ნაციონალში სათათბირო ხმით. ე. ი. ფაქტიურათ ესენიც გა-
 მორიცხულია.

ამნაირათ, ამ უამათ ყველა დევნილი და შებრძოლი სო-
 ციალისტური პარტიები როგორც საბჭოთა იმპერიისა. ისე
 გასაბჭოებულ შუაგული ევროპისა გამოცხადებულია ინტერ-
 ნაციონალის გარეშე.

რა არის მიზეზი ამ უმაგალითო საოცარი შოგლენისა? მი-
 ზეზი ერთად ერთია: ინტერნაციონალს დღეს შეთაურობენ ის-
 სოციალისტური პარტიები, რომელნიც მეთაურობენ ან მო-
 ნაწილებას იღებენ თავითონ სახელმწიფოთა მართვა-გამეც-
 ებაში: ინგლისის, საფრანგეთის, ბელგიის, შვეციის, ნორვე-
 გიის, დანიის და სხვათა. ხოლო ყველა ესენი ღაფრთხალნი,



დაშინებული მოსკოვის მიერ, ფიქრობენ თავიდან აიცილ ან საბჭოთა თავსდასხმა მათ წინაშე დაჩიქებით, თანაგრძნობის მოპოვებით, ბოლშევკების ნდობის მიღებით. ინტერნაციონალი გახდა მთავრობათა მორჩილ იარაღათ, მათი სახელმწიფოს სავარეულო პოლიტიკის თავის პოლიტიკათ აღიარებით. ამ გზით, ინტერნაციონალური სოციალიზმის მთელი ძირითადი მოძღვრება და ორგანიზაციული წყობა უარყოფილია.

ეს არის ახალი ინტერნაციონალი, რომელსაც არავითარი კავშირი არ აქვს ძველთან. იმან უარყო პირველი ინტერნაციონალის ძირითადი დებულება, რაიცა მან მიიღო თავის კონგრესზე 1866 წ. და სადაც ნათქვამია:

«ინტერნაციონალი და ყველა მისი სექციები თუ შესში შემავალი პიროვნებები სცნობენ საფუძვლათ მათი დამოკიდებულებისა ყველა ადამიანთან, მიუხედავათ ამათი ფერისა, რწმენისა და ეროვნებისა: კეშმარიტებას, სამართლი იანდებს, მორალს. ჩვენ მოვითხოვთ ადამიანის და მოქალაქის უფლებას არა მარტო ჩვენთვის, არამედ აგრეთვე ყველასათვის, ვინც კი ასრულებს თავის მოვალეობას. არარის მოვალეობა უშადლებოთ, არ არის უშადლება უმოვალეობოთ».

იმ ეს საფუძველი ჰქმანიზმის, გამოცხადებული ძირითად საარსებო დებულებათ ინტერნაციონალისა და ეს უარყოფილია და მის ალაგას წამოყენებული ეგოისტური მიდინარე საგარეო პოლიტიკა. აი ამიტომ დღევანდელ ინტერნაციონალმა ვერ გამოიტანა თავისი დაგმობა საბჭოთა ბატონობის, ვერ დაიცვა მის ულელს ქვეშ მყოფი ერები და პიროვნებები, როგორც ეს მოიმოქმედა მეორე ინტერნაციონალმა 1923 წ. ჰამბურგის კონგრესზე. აქ ვკითხულობთ:

«კონგრესი უარს ყოფს რუსეთის მთავრობის შეუჩერებელ ტერორიზმს, მისმიერ განადგურებულ დემოკრატიის და თავისუფლების, როგორც საშიშროებას არა მარტო რუსეთის მშენებლთათვის, არამედ აგრეთვე ინტერნაციონალური პროლეტარიატის სასიცოცხლო ინტერესებისათვის». იქვე გამოცხადებულია კონგრესის პროტესტი წინააღმდეგ სოციალისტების დევნის რუსეთში და «დაკავებულ საქართველოში».

ერთისიტუვით, ინტერნაციონალი მუდამ ერეოდა საბჭოთა შინააურ საქმეებში და ითხოვდა შეწყვეტას სოციალისტების დევნის და მოითხოვდა თავისუფლების აღდგენას.

ახლანდელ ინტერნაციონალს დაიწყებული აქვს მთელი ეს წასული; ის დევნილ სოციალისტებს არათუ არ იცავს, არც კი იკარებს თავის სიახლოეს.

რა გამოსავალია აქედან? არის მხოლოდ ორში ერთი: ან აღდგეს ძველი ომის წინანდელი ინტერნაციონალი ან შედგეს ახალი ყველა დევნილ და მებრძოლ სოციალისტური პარტიებისაგან.



საგვარეულო მიერ დაჩაგრძლებულ სალეთა

განთავისუფლების სამრთო პროგრამა.

ამჟამათ რუსის ემიგრაცია ეწყობა საბჭოთა მომავალ ნანგრევზე ახალი წყობილების შემოსალებათ. ის გაიყო ორ ბანაკათ და თითოეული გამოვიდა საკუთარი პროგრამით. ერთს ეწოდება «ყავშირი ბრძოლისა რუსეთის თავისუფლებასთვის»; ხოლო მეორეს «მომავალი რუსეთი—ლიგა ბრძოლისა ხალხის თავისუფლებისათვის». პირველს მეთაურობს რუსის მემარჯვენო და ლიბერალური ემიგრაცია, ხოლო მეორეს სოციალისტ-რევოლუციონერები კერძნების მეთაურობით და სოციალ-დემოკრატები აბრამოვიჩის წინამძღვალობით. ეს არის ორი წმინდა რუსული დაწყობილება, რომელშიცაც არ შედიან არარუსები. ამათი პროგრამა არის საერთო ხასიათის. მოთხოვნილება რუსეთის განთავისუფლებისა საბჭოთა ტირანიისაგან. ხოლო როგორ, რა საფუძველზე აწყოს მისი პოლიტიკური, კკონსტიტუციური და ნაციონალური ცხოვრება არა სჩანს. მხოლოდ ნაციონალურ საკითხს აქცევენ ყურადღებას, პირველი მას არ სცნობს, ხოლო მეორე მოითხოვს ერთა ფედერაციას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატ. პარტიის საზღვარგარეთელი ბიურო საჭირო ხოვლის ჩაერთოს ამ ახალ მიმდინარეობაში და წარუდგინოს რუსის და დაპყრობილ ერების ემიგრაციას თავისი შეხედულობანი პროგრამის კველა ძირითად საკითხებზე.

საბჭოთა ნანგრევზე მისალებია აეგოს ერთათ-ერთი წყობილება: ეს არის მშრომელთა ბატონობა, მთელი მუშა ხალხის თავისითავის მოვლა-პატრონობა. ყველა ადამიანი, ვინც კი თავისი შრომით, თავისი მუშაობით თავს ირჩეს, როგორიცა: პროლეტარიატი და წვრილი მესაკუთრენი შეადგენენ ერთ ბანაკს და მისი მეთაურობით ეწყობა ახალი ცხოვრება. ხოლო ყველა სხვილი საკუთრება, მთავარი სამრეწველო სავაჭრო დარგები გადადინა ერის საკუთრებაში და მუშავდება სოციალური მეთოდით. დეგება ორი ფორმის საკუთრება: წვრილებით, მათ შორის წინასწორობის დაცვით, ერთი მთლიანი პარმონიული კკონსტიტუციის შექმნა. ყველა პარტია თუ ჯგუფი ვინც ამ ძირითად დებულებებს გაიზიარებენ შეადგენენ ერთ დარაზმულობას, ერთ ანტიბოლშევიკურ სახალხო ბანაკს, რომლის მიზანია ამ კკონსტიტუციის დამკვიდრება.

ამ გზით მიიმართება სამი მთავარი რეფორმა: ნაციონალური, პოლიტიკური, კკონსტიტუციის.

I. ნაციონალური:

- 1) გამოცხადდეს საბჭოთა ნაციონალური რესპუბლიკური სუვერენულათ თავისი საშინაო და საგარეო საქმეებში.
- 2) მიეცეთ მათ უფლება თვითონ აირჩიონ თავისი მთავრობაზე და დამოკრატიულ წესით.
- 3) უარი ეთქვას ცნობაზე იმ მთავრობას, რომელიც ნაკარისხევია გარეშე ძალის მიერ.
- 4) თანამშრომლობა ყველა ამ რესპუბლიკურის საერთო ძალით და თანხმობით მოაწყონ გაუმჯობესება ცხოვრების პირობების და უშიშროების.
- 5) მოეწყოს ყრილობა განთავისუფლებულ სუვერენულ ერების წარმომადგენლოთა, სადაც შეთანხმებით იქნება გამომუშავებული შინაგანი და საგარეო ურთიერთობა.
- 6) მიეცეს თავისუფალ ერებს უფლება თვით გამოარყეოს დარჩეს საერთო კავშირში თუ იყოს სავსებით დამოუკიდებელი, თუ შევიდეს რეეიონალურ კავშირში მის ახლო-მახლო მდებარე ერებთან და ექროპის ფედერაციაში.
- 7) გამოცხადდეს სახელმწიფო დროშათ: ერი და დემოკრატია—ერის თავისუფლება—დემოკრატიული წყობა.

II. პლიტიკური:

- 8) გაუქმება კომუნისტური პარტიის დიქტატურის. მიეცეს მშრომელთა მასას თავისუფლება სიტყვის, კრების, ბეჭდვის, ორგანიზაციის.
- 9) გამოცხადდეს ყველა პარტია, ყველა ხალხურ დემოკრატიული და სოციალისტური დაჯგუფება ერის თანასწორ უფლებიან ნაწილებათ.
- 10) მოისპოს სამუდამოთ ყოველივე ნაშთი დიქტატურულ რეჟიმისა და გამოცხადდეს ადამიანი ხელშეუხებელ პიროვნებათ.
- 11) თავისუფალი არჩევა ყველა წარმომადგენლობითი კრებულის, პარლამენტის, მუნიციპალიტეტის, სოფლელთა შართველობის, პირდაპირი, საიდუმლო, საყოველთაო კენჭის ყრით ორივე სქესისათვეის.
- 12) თვითეული თავისუფალი რესპუბლიკა იწევეს დამფუძნებელ კრებას, რომელსაც მიენდობა სახელმწიფოს აწყობა დემოკრატიულ ნიადაგზე და ყველა მისი შესაფერი ძირითადი კანონების გამოცემა.

III. ეკონომიკურ-სოციალური:

- 13) გაუქმდეს იძულებითი კოლხოზური სისტემა. არსებული კოლმეურნეობის ბედის გადაწყვეტა მიენდოს მის წევრთ. ვისაც სურს თავის საკუთარი მეურნეობის გაჩენა, მას ეძლევა შესაფერი მიწა თავის ინვენტარით და გადის კოლმეურნეობიდან.

14) ყველა წვრილი სამრეწველო და საალებ-მიცემო საკუთრება უბრუნდება მათ პატრონებს, რომელთაც ის ჩამოერთვა; ყველა მოქალაქეს ეძლევა უფლება გახსნას ასეთივე დაწესებულება, თავისუფლათ იშრომოს და იმუშაოს ყოველ ყონიმიურ დარგში.

15) ყველა სპეციალი საკუთრება, რაიცა დღეს სახელმწიფოს ხელში გადაის დემოკრატიულ მთავრობის განკარგულებაში და მათი დამუშავება, მოვლა და პატრონობა ეწყობა საციალურ საკუთველში, მონაწილეობით წარმომადგენელთა მუშათა სინდიკატების, კერძო თუ სახელმწიფო კოოპერატივების, თემების, წვრილ მესაკუთრეთა ორგანიზაციების და სახელმწიფოსი.

16) თავისუფლება კერძო ინიციატივის, რომელიც არ არის მიმართული ადამიანთა წინააღმდეგ.

17) სახელმწიფო ბიუჯეტის მთავარი წყაროა შისი შემოსავალი სპეციალი საკუთრებისაგან. შემცირდეს პირდაპირი გადასახადი მშრომელ მასაზე მინიმუმმამდე.

18) შემცირდეს რიცხვი დაქირავებულ მოხელეთა მართველობის ყველა დარგში.

19) დაცვა მშრომელთა ინტერესების როგორც დაქირავებულ მუშის, ისე წვრილ მესაკუთრეთა, სახელმწიფოს განსაკუთრებით საზრუნავი საგანია.

გ ა პ ჰ ი თ.

ეს რამდენი ხანია საბჭოები დაფთარს უბნევენ დასავლეთს მოხერხებულათ და გაბეღულათ. პირველათ მათ გამოაცხადეს თავისი კომუნიზმინამდვილ სოციალიზმათ და ამაში დააჯერეს მრავალი სოციალ-დემოკრატი ბაჟერის მეთაურობით. ისინი სწერდნ, რომ მათი და მოსკოველთა მიზანი ერთი და იგივეა, განსხვავება მხროდ საშუალებებშით.

ახლა მოსკოვმა დააბრინა დასავლეთი მეორე გამოგონებით—საბჭოთა წყობილება არის სახალხო დემოკრატიათ. ამჟამათ ეს ახალი ხერხი ბევრს სჯერა. ყველა დიდი განეთები დღეს საბჭოთა ტირანიას უწოდებენ «სახალხო დემოკრატიას». ბევრი ცნობილი პირები ამბობენ, რომ ახსებობს ორნაირი დემოკრატია—ალმოსავლეთ ეკროპის და დასავლეთი ეკროპის. საფრანგეთის ერთი დიდი პროკურორი სწერს: «უნდა მოეწყოს ერთად ყოფნაზრი ქვეყნის, რომელიც შეადგენს დემოკრატიის ორ ფორმას. ამის აუცილებელი პირობაა საერთაშორისო სიმართლე» (გაზეთი «მონდ» 17 ივნისი).

ასე აირ-დაირია წარმოდგენა მოსკოვის დესპოტიაზე. გაშოდის, რომ დემოკრატია არის სხვადასხვანაირი და ამ საფუძველში მათი შეწყოპა აუცილებელია. თუ კი სოციალიზმშე კიდევ შეიძლებოდა დავა. სრულიად შეუძლებელია ამ დავის

განმეორება დემოკრატიაზე, რომლის ნიშნობლივი თვისებები საყოველთაო ცნობილია, ხოლო ამეამათ მივიწყებულია.

დემოკრატია შედგება ორი ბერძნული სიტყვიდან: დე-
მოს—ხალხი, კატოს—მართველობა. ე. ი. ხალხის მართვე-
ლობა, რაიცა პირველათ მსოფლიოში შემოიღეს ძველ ელი-
ნელებმა, დაამყარეს ძველ საბერძნეთში ხალხის ბატონობა,
საიდანაც ყავრცელდა რომის რესპუბლიკაში. არსად სხვაგან
ასეთი წყობილება არ ყოფილა; ყველგან, ყველა ქვეყანაში
ბატონობდა უმცირესობა, რჩეული და ერისაგან გამოყოფი-
ლი პიროვნებები—ზოგან მეფეთა და მათი აგენტების, ზოგან
ეკლესიის მოსამასახურეთა, ზოგან მემამულეების, ზოგან ტი-
რანების, ერთისიტყვით მცირე რჩეულთა უფროსობა, ხალ-
ხის დამორჩილება. საბერძნეთის და რომის დემოკრატიაც
ჩქარა დაეცა და ეს ქვეყნებიც ჩადგენ საერთო ანტიდემოკრა-
ტიულ კალაპოლტში.

იმ ამ წყობილების წინააღმდეგ მსოფლიოში პირველათ
ადგა საფრანგეთი მეფისამეტე საუკუნის მიწურულში, მოახ-
დინა დიდი რევოლიუცია, აღადგინა ძველი ელინური დემო-
კრატია და ეს მოედვა კაცობრიობას. ახლა კი სურთა მხაზშე
შეაყვინონ საბჭოთა რევოლიუცია, მოაცილონ ის პირველ
ხაზს და გამაცხადონ ის ლინელთა პლიტიკური ხაზის
გაგრძელებათ. ასეთი გაყალბება დემოკრატიის არასოდეს არ
მომხდარა. მისი მიუცილებელი თვისებაა ერთი, ფრიად ცნ-
ბილი—ეს არის თავის უფლება, სიტყვის, კრების, წერის,
ბრძოლის და მოძრაობის. არც ერთი ეს თვისება საბჭოთა
იმპერიაში არ არსებობს, მაშასადამე არავითარი კავშირი
მის წყობას არ აქვს ელინელთა წყობასან, დემოკრატიასან.

* * *

ამ ერთი თვის წინეთ ინგლის-ამერიკის პრესაში იყო და-
ბეჭიდილი წერილები, თუ რა გზით შეიძლება დაცვა ხმელთა
შუაზე ისა რუსეთის შემოსევისაგან. თითქმის ყველამ გამო-
თქვა ერთი და იგივე აზრი, უჩენებს ერთი და იგივე სტრატე-
გიული ბაზა: ხმელთაშუა ზღვის დაცვა უნდა მოხდეს ჩრდი-
ლო აფრიკიდან. ასეთია ლოლიური დასკვნა იმ პოლიტიკის,
რასაც ინგლისი მისდევდა ჩევნში ახლოწასულში.

საქმარისია დაკვირდეთ ხმელთაშუა ზღვას და მის ახლო
მახლო მდებარე სახელმწიფო ინიციატივა, რომ გადაჭრით ითქვას:
წამოყენებული სტრატეგია არავითარ სინამდვილეს არ შე-
ეფერება და წმინდა ფანტასტიურია. რუსეთისათვის ახსე-
ბობს ერთად-ერთი ზღვურე, რომლის გადალახვა მას გაიყვანს
ხმელთაშუა ზღვაზე და მით იქნება ასრულებული პეტრე დი-
დის ანდერძი. ეს ზღვურე ასმალეთი და სპარსეთი, რასაც
პირდაპირ ესაზღვრება რუსეთი და მაშასადამე მის წინაშე
არ დგას გეოგრაფიული დაბრკოლება. იყო დრო, როცა ასე-
თი დაბრკოლება აღიმართა მოსკოვის წინაშე, როცა ჩრდი-

ლო და ამიერ-კავკასია გამოეთიშა რუსეთს და დაარსდა და-
 მოუკიდებელი ნაციონალური სახელმწიფონი, რომელთა კონ-
 ფედერაცია დღის წესრიგში დადგა. და სწორედ ეს ზღუდე
 მოსპეს, მას ლაპარა ჩასცეს სწორეთ მის არსებობაში დაინ-
 ტერესებულ სახელმწიფოებმა: ინგლისმა და ოსმალებმა.

არის ორგვარი საგარეო პოლიტიკა: დროებითი და წარ-
 მავალი, მუდმივი და ურყოვი. ლოიდ ჯორჯის და ქემალ ფა-
 შის საკავკასიო პოლიტიკა არ შეიცავდა არც ამ პოლიტიკას.
 პირიქით, ამ ზღუდეს შენახვა, მისი გამაგრება, მისი შეფარვე-
 ლობა სამუდამო უზრუნველყოფდა ორივე სამხრეთ სახელ-
 მწიფოს არსებობას და ხმელთაშუა ზღვის შენახვას. იმ დროს
 ინგლის-ოსმალებმა აწარმოვა არა თავისი პოლიტიკა, არა-
 მედ რუსეთის, გახდენ შოსკოვის სათამაშო იარაღათ, ბოლ-
 შევიური ექსპანსიის დამხმარეთ. აი ეს დიდი შეცდომა დღე-
 საც არ აქვთ შეგნებული და დაფრთხალნი, დაშინებული
 ჩრდილო აფრიკაში გარბიან. შედეგი იქნება ერთი: რუსეთი
 მოკალათებს ხმელთაშუა ზღვის აზის ნაპირებზე, ხოლო
 ისინი აფრიკის ბოლაზებზე. მოხდება მხოლოდ ზღვის გაყოფა
 მათ შორის.

* * *

ბურუუაზიული ორგანო «ორორი» 13 მაისის ნომერში
 სწერდა: «ჩვენი გალია გამოვიმუშაოთ მესამე ხაზი, არც ამე-
 რიკის ლიბერალიზმი, არც მოსკოვის ტოტალიტარიზმი. ეს
 დაამარცხებს კომუნისტებს».

ჩინებულათ ნათქვამია: სად არის, როგორი უნდა იყოს ეს
 მესამე ხაზი? ლიბერალიზმი საფრანგეთში აღარ არსებობს,
 ის მოკვდა, მაგრამ დამაპარხეველი აღარ აღმოჩნდა. ხოლო ის
 ვინც გამოჩნდა—იგივე კაპიტალიზმის მეთაურებია, გუშინ-
 დელი ბატონებია და ახალ ხაზს ატარებენ თავისებურათ.
 მათ ლიბერალიზმის ალაგას წამოაყენეს ეტატიზმი. სახელ-
 მწიფოს და მის მოხელეთა ეკონომიკური ბატონობა. ბურუუ-
 აზიამ მონახა ახალი ფორმა ბატონობისა და გაიძახის: ეს ბოლ-
 შევიმს დაამარცხებსო. ეს არის სრული უტოპია.

ბურუუაზიის ახალი ხაზი—არც ლიბერალიზმი, არც ტო-
 ტალიტარიზმი—ძეველის ძეველი ხაზია: ეტატიზმი არსებობდა
 ათასი წლობის განმავლობაში. კლასთა აღორძინების დღი-
 დანე. ის დაანგრია მხოლოდ ბურუუაზიამ, ლიბერალიზმი.
 მისი ახალ მოდის დანგრევა არ იძლევა არავითარ გაუმჯო-
 ბესობას ხალხის ცხოვრებაში, პირიქით დღეს ფრანგთა ერი
 ნატრულობს გაუქმებულს და ითხოვს მის აღდგენას. ამებათ
 ხდება მრავალ საწარმოვთ დარგების ნაციონალიზაცია, ერ-
 თი და იმავე შედეგებით. წარმოება ნელდება, მისი ნაყოფი

ძვირდება, მას თავს ახვევია და ბრძანებლობენ მოხელენი. რომელთა რიცხვი მეტათ გამრავლდა. ერთისიტყვით, შეიქმნა ანტიხალხური, მოხელური კონომიკა. ამ მოვლენის მიზეზია ერთი: ხდება ეტატიზაცია და არა სოციალური. ბურუუაზიულ კონომიკას დაეპატრონა ჩინოვნიკობა და არა საზოგადოება, არა მუშათა და მშრომელთა კლასები. სოციალიზმი მივიწყებულია, სოციალისტები გადახალისტებულია და ეტატიზიმის სამსახურში ჩაბმულია. ასეა ყოველგან—საფრანგეთში. ძელგიში, ინგლისში და სხვაგან. დღეს ვიმყოფებით სოციალიზმის გაუგონარ კრიზისში. მან ვერ გამოიჩინა უნარი დაპატრონებოდა ბურუუაზის ნაგრევს, მოქედინა სოციალისტური გარდაქმნა და აყვენ იმავე ბურუუაზის, რომელსაც ებრძოდენ მუდამ, საუკუნის განმავლობაში.

* * *

ერთი ბელგიური განხეთი სწერს: პირველათ დგება ჩვენში ქრისტიანულ-სოციალისტური მთავრობა და მას ემხრობიან მემარტენინგი გარდა ლიბერალებისათ. უნდა მოვიგონოთ, რომ ომის წინ არ არსებობდა ასეთი პარტია, არსად არ იყო მისი მთავრობა და მხოლოდ ომის მსვლელობაში და შემდეგ თავს იჩენს ეს მიმართულება და ედება მთელ კვრობას. ამ ახალი მოვლენის სულის ჩამდგენერია რომის პაპა, რომელმაც იმის დროს პირველათ აღმართა ეს დროშა და მოუწოდა თავის ერთგულ მიმდევართ განახორციელონ ის. ალორდინდა სოციალიზმის დიდი მოცილე. სოციალიზმი ქრისტეს სარწმუნოების თანახმათ. მოძრაობა გაჩაღდა ყველა ერში. ყველა სახელმწიფოში. ამ ახალ ამბავს სოციალისტური ინტერნაციონალი უცქეროდა შორიდან, როგორც მაყურებელი და მის წინააღმდეგ, მის შესახებ ხმა არ ამოულია.

ამნაირათ, დღეს სოციალიზმის აღმოუჩნდა ძლიერი კონკურენტი, რასაც მისდევს ხალხი მოქრისტიანებული სოციალიზმის დროშით. სულ მოკლე დროში მან დაიპურო ფართო ასპარეზი, მოიპოვა დიდი გაელენა ხალხის მასებში: მას ეკავშირდიან სოციალისტები, შედიან მათთან ერთად მთავრობებში, აძლიერებენ მის გაელენას და მოქმედებას—ერთისიტყვით ეს ახალი პარტია სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ძლიერდება, ხოლო სოციალისტები პირდაღებული შეყურებენ: არსაიდან ხმა, არსაიდან ძახილი. ინტერნაციონალი აღარ ებრძვის არც კომუნიზმს, არც ქრისტიანულ სოციალიზმს. ის განისვენებს ჩრდილში, მოქანცული, დავარდნილი...

ნესტორ კალანდაძის ხსოვნას.

არის ადამიანი—ასეთი ძალიან ბევრია,—რომლის სახე,
 რა ხშირად და რა ხანგრძლივათაც შეხვდე მას, ხსოვნის ფირ-
 ფიტჩე არ რჩება. ხოლო არის ისეთიც, რომლის სახე სამუ-
 ღამოთ ალიბეჭდება შენს ხსოვნაში, რაგინდ ხანმოკლე იყოს
 ეს შეხვედრა. ნესტორ კალანდაძე ეკუთვნის ამ უკანასკნელ
 ტიპს ადამიანისა. ჩემი ასეთი პირველი შთაბეჭდილება, ნეს-
 ტორთა შემდეგ შეწყვეტრებში, ორმოცი წლის მანძილზე,
 ოდნავადაც არ შეცვლილა.

ნესტორი იყო შუატანის კაცი, მოგრძო მომლიმარე პი-
 რის სახის, მისი ფართ შებლი გამომხატველი ინტენსიურ
 აზროვნების. პირდაპირი შემოხედვა მისი ფრიად დაკვირვე-
 ბულ ეჭვიან და დამცინავ თვალებით, ხშირად კი განიდანაც
 გახედვა, შეკუმშულ აზრებით აღსავს მოკლე სიტყვების გა-
 მოსრულა, რაც იწვევდა ძლიერ სიცილს, ხოლო თვით ნეს-
 ტორ არასოდეს ჩვეულებრივ ლიმილს არ გასცილდებოდა.
 ყოველ შეხვერის დროს, შეუმჩნევლათ, ის თავიდან ფეხე-
 ბამდე ახედ-დახედავდა კაცს, საუკეთესო შეგობარსაც კი—,
 თითქმის მასშიაც რაღაცას ეძებდა, რაღაცას ებრძოდა. ასე,
 ვის არ გაუგონია ნესტორი, ვინ არ იცნობდა მას, რომ ბევრი
 შეგობარი ყავდა? არა, აյ სინამდვილეში ცალმხარი შედგომა-
 რებია იყო: ის იცნობდა ყველას, მას კი თითქმის არავინ!
 რატომ? იმიტომ, რომ ნესტორის ცოდნა ადვილი საქმე არ
 იყო. ის, მიუხედავათ აღწერილ გარეჯნულ ნიშნებისა, მეტათ
 ნაზი, ზედმიწევნით გრძნობიერი და, იმავე დროს, მძიმე და
 ძალიან რთული ბუნება იყო. ეს, რასაკვირველია, პოეტის
 დიდ შემოქმედებითი ნიშის ასახოდოებდა, მაგრამ იმავე დროს
 ბორკავდა კიდეც. სწორეთ ამით აიხსნება, უმთავრესათ, რომ
 ასეთმა დიდმა პოეტმა ერთი მთლიანი რამ, სადაც იხატებო-
 დეს სრული მისი სილრმე და სიმაღლე, არ შექმნა...

შეცხრამეტე საუკუნის მიწურულში ბახვის (გურია) შეო-
 ლა, გაბრიელ ეფისკოპოსის წყალობით, დიდ წარმატებას მი-
 ეცა. მისი სახელი უკვე გაბრიელის გარდაცვალების წინა
 წლებშიიაც (1895—1896) იზიდავდა მოწაფეებს არა მარტო
 ახლობელ სოფლებიდან, არამედ შორეულ და გურიის მთა-
 ვარ ადგილებიდან—ნაგომარი, ხიდისთავი და აზურგეთიც.
 ამის მიხედი, რასაკვირველია, არ იყო მარტო შფარველობა
 და ნივთიერი დახმარება გაბრიელ ეფისკოპოსისა, არამედ ის
 ბერნიერი შემთხვევა, რომ მის სათავეში მოხვდენ თავიდანვე
 ცკუიანი, ერთგული და ნიჭიერი პედაგოგები გიგო შარაშიდე
 და მისი მეულე ნინო ქიქძის ასული, გაბრიელ ეფისკოპო-
 სის ძმისწული.

გამრიცელ ეფისკოპოსმა გარდაცვალებისას ბახეის შეოლას ქონება და თანხა უანდერძა, ამიტომ აგებულ იქნა ახალი სახლი და შეოლას მოემატა განყოფილებები: საბალოსნო და სახელოსნო. პირველი აგრანომი მასწავლებელი იყო მიხეილ ახალძე, რომელსაც გრიგორე შეეცუა და დაითხოვა. შემდეგ მოწვია ახალი აგრანომი, ისიც იაღმის უმაღლეს სააგრანო-მო შეოლიდან, ნესტორ კალანდადა.

მახსოვეს, წვიმიანი დღე იყო, ბაღში, სადაც ჩვენ, შეგირდებს, ყოველ ძლიერ გვისამვინწერბდა, წასვლა არ შეიძლება: და და ამიტომაც შეოლის დარბაზში მოვიყარეთ თავი. შემდის გიგო ახალი მასწავლებლის წარმოსადგენათ. ამ უზარმაზარ თეთრწვერიან კაცის გვერდით ახალგაზრა ნესტორი სულ პატარა მოსჩანს. გიგომ ჩეეულებრივი დარბაისლობით მოწაფებს გვახარა, დღეიდან ოქვენ ასეთი კარგი მასწავლებელი გეყოლებათ და გამოსთქვა რწმენა. რომ მის და ჩვენ შორის კარგი განწყობილება იქნებათ ჩვენ, შეგირდებს; ძალიან გვეუცხვა, როცა სამაგიერო პასუხათ, ისიც სიტყვის გათავებამ დის, ნესტორმა ლიმილით შეხედა მას და მხოლოდ ორი სიტყვა სთქა: «ნუ ირჯებით, ბატონი». ეს ორი სიტყვა შემდეგ მთელ შეოლას მოედო ყველაფრის პასუხათ. მის გაკვეთილზე ამ ახირებულ აგრანომს მთელი ერთი საათის განმავლობაში ბალოსნობაშე და ბაღებულობაშე ერთი სიტყვაც არ უთქვამს. სამაგიეროთ დიდი აღტაცებით გვემუსაიდა შეცნიერების სხვადასხვა დარგზე—ფინიურ კანონების აღმოჩენებზე, ქიმიაზე და სხვ. ჯერ ძალიან გვეტმა ეს, მერე კი გაგვიტაცა და ფრიად კმაყოფილი დაერჩით. ჩვენს მას მოახდინა დიდი მეცნიერის შთაბეჭდილება, დავრწმუნდით გაკვეთილებს მივიღებით მისგან და კიდევაც შეგვიყვარდა და თანაც შეგირდებმა გადავსწყვიტეთ თავი დაგვენებებია ბალოსნობისათვის, რომლის შესახებ მას «არაფერიც არ გაეგებოდა». ნესტორის მიერ ენის ბორბიკით თქმული ორი სიტყვა: «ბალოსნობაშე ბაღში დავიწყოთ»-ო, მათიქერებდა მე ცოტას, მაგრამ ბევრი შეგირდი მის ამ სიტყვებს დაცინებით იმეორებდა.

მზიანი დარი დადგა. ჩვენ ყველა სკეპტიკურათ ვუყურებთ, მაგრამ ამ მშევნიერ ბაღში გარებ-გამორების პერსპექტივა ყველას მოვცონს. მივადექით ერთ ჯგუფს მცენარეებისას. ნესტორმა დაიწყო ისე ნელა და ბორბიკით, რომ კინალამ სიცილი აგვიტყდა, თუ თავი შევიკავეთ მხოლოდ «პატივის-ცემით მეცნიერებისადმი». მერე? რა მომხიბლავი მცენარეობისადმი სიყვარულით გატაცებული გვიხსნიდა თითოეული ჯიშის ბუნებას და გვასწავლიდა მოვლა-გაშენებას. ერთი-სიტყვით, აქაც ის დიდი მეცნიერი გამოდგა. შემდეგ ნესტორსა და ჩემ შორის მეგობრული განწყობილება შეიქმნა. ამირჩა მან ერთი ჯგუფის ხელმძღვანელათ ბაღში მუშაობის დროს. შეოლის გარეთაც, როცა დამინახავდა, შემაჩირებდა საუბრისათვის. გიგო ზარაშიძესთანაც ძალიან კარგ განწყო-

ბილებაში იყო და ხშირადაც შევხვედრივარ ერთათ წამსვლელ-წამრმსვლელს. ნესტორი მთელ ლამეს ხშირათ ატარებდა ჟკოლის შენობის სახურავზე ვარსკვლავების შესასწავლა-თდა მან, პირველმა, ქართულათ მშვენიერი ქართული ენით დასწერა ასტრანომია, რაც წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ გამოსცა.

გიგოს შეილთან, შალვასთან (თაგუნა), ნესტორს თავი-დანც ძალიან კაი და მეგობრული დამრკიდებულება ჭინდა. როგორც თითქმის ყოველთვის სილამაზე სწავლა-მეცნიერებასთან მუდმივ კონფლიქტშია და შალვაც, ქალებით გატაცებული, სრულებით არ სწავლობდა; ის გადაქცეული იყო, როგორც ეძახდებ, «მუდმივ სტუდენტურის გათავება არ აღირსა თავის მშობლებს და როცა ხანში შესულ ბახვის საზოგადოების მცხოვრებს მელქისედექ მახარაძეს პკითხეს: «რამდენი წლისა ხართ? დიდი დაფიქრების შემდეგ უპასუხა: «შალვა შარაშიძე რომ უნივერსიტეტში წავადა იგი მახსოვს»... სასიამოვნოთ მაქვს, რომ შალვას შესახებაც წინასწარი შთაბეჭდილება შემცდარი გამოდგა; ნესტორის და შალვას მეგობრობას უკვე მკვიდრი ნიადაგი პქონდა—პოეტმა პოეტის სული შორიდან იცნა და რამდენიმე წლის შემდეგ სამწერლო ასპარეზზე ერთათ გამოვიდენ.

ბახვი განათლებული ცენტრი შეიქნა. აյ გაჩნდა ორნაირი ინტელიგენცია: ის შესაგებოდა მასწავლებლების, სტუდენტების და სხვადასხვა ქალაქებიდან დაბრუნებულ პირებისაგან. შესდგა საზოგადოება, შემოილეს ორ ცხენიანი «დროშე», რასაც ქონდა შუაში საჯდომი ორი გრძელი ფიცრის ერთი-მეორეზე მიდებილი ისე, რომ ექვს-ექვსი კაცი ჯდებოდა ზურგშექცეული. ასეთი «დროშეით» ყოველ დღე მიღიმადიოდნენ ქალ ახტურგეთში. ამ დროს ნესტორს უკვე ხალხში სახელი პქონდა გავარდნილი ერთი გრძელი ლექსის დაწერით. ეს ლექსი ახალგაზრდობამ და ხანში შესულებმაც ზეპირათ იცოდენ და ყველა ავტორებდა მას. ლექსი იწყებოდა ასე: «ასკანიდან წარმასული სოლომონ და პატა ნიკო, ოცი კვირკვებისთვე იცნო»... და მოუთხრობდა სოლომონ ჭეიშვილის და ნიკო თავდგირიძის ძმობა მეგობრობას. პირველი იყო აბრაშუმის საზოგადოების «შუამავალი» ს გამგე. ამ საზოგადოების საქმე ცუდათ წავიდა. აბრალებდენ ფულის გაფლანგვას, მეორე კი—ოუზურეთის ქალაქის მოურავი და თავისი გავლენა-დახმარებით მას იცავდა. ამ ლექსით ნესტორმა იცნო თავისთავი და პირველათ შეამჩნია მან თავისი შემოქმედებითი ნიჭი, ხალხმაც ამ ლექსით იცნო მასში დიდი იუმორისტული ნიჭი და ის თავისათ გაიხადა. მანამდის კი მას ამის მზავსი არაფერი დაუწერია. ნესტორი იყო გატაცებული მეცნიერებით, გამოკვლეების წადილით და ძალიან უყვარდა მებალეობაც, რაც მისი ცხოვრების წყარო იყო.

თბილისში გადასვლა ნესტორმა შალვა შარაშიძესთან

ერთათ გადაწყვიტა. შალვას კი პქონდა იმედი უზრუნველყოფისა; მშობლები მას ეხმარებოდნენ და თბილისშიც კიდევ მისი მდიდარი ნათესავები, ქიქოძეები, უპატრონოთ არ დატოვებდნენ. შალვა ხან ერთს გამოართმევდა ფულს, ხან მეორეს და მიცემას ხომ ის არასოდეს ფიქრობდა! ნესტორის ბუნებას ასეთი რომ არ შეეძლო, ის ძლიერ მორცხვი იყო, ხელის გაწვდა არ უყვარდა, არ ეხერხებოდა; სანამ თბილისში სამეურნეო სასწავლებელში ადგილს იშოვნიდა მას შალვა რომ არ დამარტინდა შიმშილით მოკვდებოდა.

1905 წლის დასწისში სოციალ-დემოკრატებმა უზრნალი «მოგზაური» შეიძინეს, ნესტორი მიიწვიეს თანამშრომლათ, მასთან ერთად შალვაც თანამშრომლობდა ამ უზრნალში. «მოგზაურში» თანამშრომლობით სახელის გავარდნის შემდეგ ნესტორმა შესძლო თავისი საკუთარი უზრნალის— «ეშმაკის მათრახი»-ს გამოცემა და თანამშრომლათ მან აიყვანა შალვაც; ესეც ნიკიტი პოეტი და ერთათ-ერთი მისი შესაფერი. ისიც ეჭის გარეშე, რომ «ეშმაკის მათრახი» წარმოადგენს ახალი მიმართულების შეტანას ჩვენს მწერლობაში ერთ ეპოქას. ეს უთუთ დიდი განძის შეტანაა, რადგანაც სიცილით სიმართლის მეღაენება ადამიანის სისუსტის გასწორებას, გაუმჯობესობას უნდა მოასწავებდეს. ნესტორს ხშირად უთქამის ჩემთვის: «კაცს ისე უნდა დასკინო, რომ თავისი თავი ნათლად დაინახოს და არამც თუ არ ეწყინოს, პირიქით, იცინოს, ისიამოვნოს» თ. და თან დასძენდა თავისებურ თავდაბლობით: «ეს მხოლოდ ჩემი იდეალია, ამას მე ჯერ ვერ მივაღწიე». თ. აი. აგ განმარტებაშიც იხატება მისი სულის სიმაღლე და კეთილშობილება და თავისთავის უკმაყოფილება მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მან მიაღწია უმდლლეს წერტილს, მაგრამ ის კიდევ მეტს ითხოვს თავისთავისაგან.

ნესტორ კალანდაძის ცხოვრებაში მოხდა ორი უდიდესი ტრადიცია, როგორიც შეიძლება პოეტს მოუხდეს: მან დაულალა ალექტოვანებით მუშაობით 15 წლის განმავლობაში შექმნა ახალი ჟკოლა ჩვენს იუმრისისტულ მწერლობაში და ამ მხრით ქართველი ერი განათლებულ თანამედროვე დიდი ერების სიმაღლეზე აიყვანა და სწორეთ როცა ამ ქმნილებას გამაგრება-განვითარება ესაჭიროებოდა, მას კი ახალგაზრდული ძალა და ნიჭი შესწევდა და როდესაც ამ შემოქმედებას შეღვაწობით უზენაეს სიამოვნებას განიციდა, სწორეთ ამ დროს მოუხდა მას შიტოვება თავისი ასპარეზისა. რატომ? იმიტომ, რომ ის მჭიდროთ იყო შეზრდილ-შეკავშირებული დაწყებიდანვე თავის მოღვაწეობისა იმ ინტელიგენციისა და წრეებთან, რომელიც საქართველოს სათავეში მოექცენ 1917წ. რევოლუციის დროს, შემდეგ კი მისი დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ბოლოს იძულებული შეიქმნენ, წაგებული ომის გამო, საქართველო დატოვებით და სახლვარ-გარეთ გახიზულიყვენ. აი, ამ მევობრებს გაყვა ნესტორი, გაყვა ფი-

ზიკურათ, ხოლო სული კი საქართველოში დატოვა. ამიტომაც საზღვარ-გარეთ, ემიგრაციაში, 23 წლის განმავლობაში მას არამც თუ ჩამე არ შეუქმნია, არც არაფერი დაუწერია. აქ ის ყველასთან კარგათ იყო, ყველას უყვარდა, მაგრამ გულით ის არავისთან იყო... ეს იყო მისი მეორე ტრალედია: მეგობრებს—საუკეთესოსაც—სურვილი, თხოვნა ვერ შეუსრულა: «ნესტორ, დასწერე ეს, დასწერე ისა»—ო, ეხვეწებოდენ ხშირათ, მაგრამ ის კი არაფერს წერდა...

დიდი სამწუხარო ამბავი მოხდა, რომ ქართველ ერს და ეკარგა ის, რისიც ნესტორს 23 წლის განმავლობაში კიდევ შექმნა-მოცემა შეეძლო და დიდი რამისაც, მაგრამ მხოლოდ ჩვენი ერის მიწა-წყალზე...

სარიტონ შავიმვილი.

უკეთა. ივნისი, 1949 წ.

საქართველო და მოგავალი

რუსთის ვიზერაცია.

უკანასკნელ ხანებში ემიგრანტულ პრესაში ხშირად შეხედებით წერილებს ეროვნულ საკითხებ; განსაკუთრებით ეხება ამ საკითხს საბჭოთა კავშირში შემავალ ეროვნებათა ემიგრანტული პრესა. ამ საკითხის ირგვლივ ჩამოყალიბდა ორი ბანაკი: ერთი რუსული და მეორე არა რუს ხალხებისა. რუსულ ბანაკში არის ჯერ-ჯერობით უმთავრესად ორი მიმართულება: ერთი მონარქისტებისა, რომელნიც ოცნებობენ მთლიანი მონარქიული რუსეთის აღდგენს ეკვლ საზღვრებები და მეორე სოციალისტური და საერთო დემოკრატიული ჯგუფების დარამულობა, რომელნიც თეორიულად ცნობენ ერთა თვითგამორჩევის პრინციპს, და საერთო დემულებების შემუშავების ღრმას გამოთვალისწინები მართვაში არის, რომ ებლანდელ საბჭოთა კავშირის მაგიტ, ბოლშევიზმის დანგრევებულებების შემდეგ, უნდა აღმოცენდეს ფედერატიული რესპუბლიკაო...

ისტორიის ჩარჩის უკან მობრუნება ისე, როგორც ეს რუს მონარქისტებს სურთ, მათ შეუძლებლათ მიაჩინიათ.

იდი ხანი დასჭირდათ რუს სოციალისტებს და დემოკრატებს, რომ ამ დასკვნამდი მისულიყვნენ.

განსაკუთრებით ეხება ამ საკითხს რუს სოციალისტების და დემოკრატების მიერ ჩრდილო-მერიკაში დაარსებული «ხალხის განთავისუფლებისთვის ბრძოლის ლიგა».

ლიგის დებულების მე 5 მუხლში არის ალნიშნული, რომ ყველა ეროვნული დაჯგუფება თანასწორ უფლებებით სარგებლობენ კანონის წინაშე... «ნაციონალური კულტურული ავტონომია ეროვნულ უმცირესობისათვის». მომავალ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას ჩამოაყალიბებს სრულიად

რუსეთის დამფუძნებელი კრება. თუმცა ლიგის მდივანი ბ-ნი დნეპროვი განმარტავს ლიგის «ბიულეტენ». ის ერთ ერთ ნუ-
 მერში, რომ არა რუს ერებს შეუძლიათ თავის ეროვნულ და-
 ფუძნებელ კრებებში გადაწყვიტონ—სურთ მათ რუსეთის ფე-
 დერაციაში შემოსვლა თუ არა! ამ გადაწყვეტილებას ესაჭი-
 რობა სრულიად რუსეთის დამფუძნებელი კრების დადასტუ-
 რებათ... სხვა თვალსაჩინო ლიგის წევრებიც: აბრამოვიჩი,
 ფედოროვი, გეორგიოვსკი და სხვ. აღიარებენ რა ეროვნებათა
 თვითგამორკვევის პრინციპს, მოგვიწოდებენ ერთი ფედერა-
 ციის შექმნისთვის რუსეთითან ერთად.

მათ კარგად იციან, რომ ძალით არა რუს ერების რუსე-
 ბთან ერთ ფრონტში მოთავსება მომავალში შეუძლებელი
 იქნება და ამისთვის აყენებენ ისინი ფედერატიულ პრინციპს.
 ტყვილა კი არ უსაყვედურებენ ისინი თავის მონარქიისტებს
 და ნაციონალისტებს, რომ ეს უკანასკნელნი თავის მთლიანი
 რუსეთის აღდგნის იდეის ქადაგებით—პირიქით, ხელს უწყო-
 ბენ რუსეთის დაშლასთ.

სამწუხაროა, რომ რუსი სოციალისტები და დემოკრა-
 ტები ურჩებრვოთ არ იზიარებენ ერთა თვითგამორკვევის
 პრინციპს.

ბ. გეორგიევსკი «ბიულეტენ»-ის 3 ივნისის ნუმერში
 აკრიტიკებს როგორც რუს ნაციონალისტებს, ისე არა რუს
 ეროვნებათა ნაციონალისტებსაც, რომელთაც უწოდებს სე-
 პარატისტებს... მისი აზრით, ამ ორთავე ფრონტში მყოფ ნა-
 ციონალისტებს ხალხის უმრავლესობა მხარს არ უჭირს...
 ბ. გეორგიევსკიმ შეიძლება იცოდეს რუსის ხალხის სულიერი
 განწყობილება—ამაში მას ჩვენ არ ვედავებით, მაგრამ, რაც
 შეეხება მის განცხადებას, არა რუს ეროვნებათა შესახებ—ეს
 კი არ შეეფერება სინამდვილეს. მაგ. როდესაც ბ. გეორგიევსკი
 ეჭვს გამოთქვას, რომ მრავალ ტომთაგან შემდგარი კავკასია
 ვერ შეძლებს კავკასიონთა შორის სოლიდარობის დამყარე-
 ბასო—ეყრდნობა ამ შემთხვევაში, როგორც ის განმარტავს,
 კავკასიონ პატრიოტების განცხადებას.

ამასვე ამბობს ის ბელორუსიაზე, ტადეიკისტანზე და
 სხვებზე. აბა როგორ უწდა მოხდეს საზღვრის გავლება რუსე-
 თის და უკრაინას შორის... აქ ხომ ბუნებრივი საზღვარი არ
 არსებობსო... ის განაგრძობს: დაუშვათ, რომ არა რუს ერებ-
 ბა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს—საინტერესოა ვიცო-
 დეთ, როგორი იქნება მაშინ მდგომარეობა იმ რუსების, რო-
 მელნიც ბოლშევკიების მიერ არიან ეხლა ჩასახლებულნი
 სხვადასხვა რესპუბლიკიებშიო... ამ საკითხის მოგვარება სულ
 ადვილათ შეიძლება... ამ ჩამოსახლებულ ელემენტის უკანვე
 დაბრუნებით თავის სამშობლოში... აგრეთვე ბ. გეორგიევსკის
 ძალიან აინტერესებს, თუ როგორ შეძლებენ ეს ერები დამო-
 კიდებულებების მოგვარებას უცხო სახელმწიფოსთან...

სხანს ბ. გეორგიევსკის არ სცოდნია, რომ ეს ერები ძვე-

ლათ, სანამდი მათ ცარისტული რუსეთი დაიპყრობდა, მრავალი საუკუნეების განმავლობაში დამოუკიდებელი იყვნენ და დიპლომატიურ ურთიერთობაშიც შედიოდენ უცხო სახელმწიფოებთან... და განა ზოგიერთი მათგანი 1917 წ. რევოლუციის შემდეგ არ განთავისუფლდნენ რუსეთის ოკუპაციიდან და არ იყვნენ ცნობილნი, როგორც დეფაქტო, ისე დეიურეთ სხვადასხვა სახელმწიფოებისგან.

მაგ. საქართველო. საქართველომ შეძლო თავის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაც სხვადასხვა სახელმწიფოებთან რუსეთის დაუხმარებლათ... დარწმუნებული ვართ არც მომავალშიც დაჭირდება საქართველოს ამ შემთხვევაში რუსეთის დახმარება. ბ. გეორგიევსკი სასტიკათ აკრიტიკებს ცარისტულ რუსეთის ეროვნულ პოლიტიკას და ის ამ შემთხვევაში სრულყებით მართალია, მაგრამ ამ ძველი პოლიტიკის მატარებელიც ხომ ლაპარაკობდენ, როდესაც ძალათ იერთებდენ ამა თუ იმ ეროვნებას: «ჩვენ ვიტოთებთ ამა თუ იმ ეროვნებას არა ჩვენი—ისედაც დიდი ტერიტორიის განდიდებისათვის, არამედ თვით ამ შემოერთებულ ერის ინტერესებისათვის». ღ (მაგ. საქართველო და მეფე ალექსანდრე I).

აი ასეთ პოლიტიკას თითქო ებრძვიან ლიგის წარმომადგენლი, მაგრამ თვითონ კი იმავე დროს გვირჩევენ მათ ფედერაციაში შესვლას, კინაიდან ჩვენ თითქოს ვერ შევიდებთ ჩვენი საკუთარი ძალებით ჩვენი ეროვნული სახელმწიფოების შექმნას და ვერც დიპლომატიურ ურთიერთობის განმტკიცებას უცხო სახელმწიფოებთან.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ მომავალში, მოსკოვის იმპერიის დანგრევის შემდეგ, რუსეთს ექნეს გადამწყვეტი მნიშვნელობა, იმ ერების ბედის გადაწყვეტაში, რომელიც დღეს მოსკოვის უდლის ქვეშ იმყოფებიან. თუ კი მომავალში დემოკრატიულ ქვეყნების ბრძოლა ტოტალისტურ მოსკოვის სახელმწიფოს წინააღმდეგ დემოკრატიის გამარჯვებით დამთავრდება—რაშიც ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, მაშინ ამ დემოკრატიის წარმომადგენელებმა სათანადო ანგარიში უნდა გაუწიოს ამ ერების სამართლით მოთხოვნლებებს და ატლანტიურ ხარტიაში ნაგულისხმევი პრინციპები ამ ხალხებზედაც უნდა გაავრცელონ.

თავისთავათ ცხადია, რომ დამოუკიდებელ და თავისუფალ ერმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს თუ ვისთან ან რომელ ფედერაციაში შევიდეს ან თუ სრულიად დამოუკიდებელი დარჩეს. დღეს ყველასთვის აშკარა არის, რომ მომავალში შეუძლებელი გახდება ამა თუ იმ ერისთვის სრული დამოუკიდებელი ცხოვრება, და ის იძულებული იქნება, რომელიმე ფედერაციის წევრი გახდეს, და ამით ზოგიერთ თავის სუვერენულ უფლებებზე უარი სთქვას ფედერატიულ კავშირის სასარგებლოთ.

ემიგრაციაში ამ საკითხზე მსჯელობა და აზრის გაცელა-
 გამოცვლა თუმცა აუცილებელ საჭიროების წარმოადგენს,
 მაგრამ რაიმე დაპირებების გაცემას ვინმეს მიმართ უნდა
 ვერიდოთ.

ჩვენ მიგვაჩნია აუცილებლათ გავარკვეიოთ საქართვე-
 ლოს დამოკიდებულება სხვა კავკასიელ ერებთან. თუ რომე-
 ლიმე რეგიონალურ ფედერაციაზე ან კავშირზე გვინდა ვის-
 ჯელოთ—ჩვენვის, —ქართველებისთვის, პირველად ყოვლი-
 სა უნდა დადგეს საკითხი კავკასიელ ერების ერთ ფედერაცი-
 აში ან კონფედერაციაში თავის მოყრაზე. საქართველოს ჯერ
 კიდევ მე-11 და მე-12 საუკუნოებში ქონდა ამ იდეიისკენ მიდ-
 რეკილება და ისტორიის მოყლე მანძილზე იქმნა განხორციე-
 ლებული ეს მისწრაფება. გარეშე დამყრობელ ძალებთა ზედ-
 გავლენით, სამწუხაროდ, საქართველოს და კავკასიის სხვა
 ერების ბეჭი აცდა ამ სწორ გზას და ის სულ სხვა მიმართუ-
 ლებით მიიმართა.

შემდეგ 1918 წ., როდესაც კავკასიის ერები თავის ბეჭის
 გადაწყვეტაში თავისუფალნი გახდენ, მათი პირველი სახლ-
 მწიფოებრივი ნაბიჯი იყო კავკასიის ერების შეკავშირება
 კონფედერაციის სახით, რაც განხორციელებული იქმნა 22 აპ-
 რილს 1918 წ. თითქო განმტკიცდა კავკასიელთა შორის ის
 აზრი, რომ კავკასია, როგორც გეოპოლიტიკურად ისე ეკო-
 ნომიურად და სტრატეგიულად განუყოფელ ერთეულს წარ-
 მოადგენს. მაგრამ გარეშე ძალის ზეგავლენით ეს კავშირი მა-
 ლე დაიშალა.

მხოლოდ ემიგრაციაში კავკასიის ერების მეთაურებმა
 ბრიუსელის პაქტით ხელახლა აღადგინეს ერთხელ დარღვეუ-
 ლი კონფედერაციის პაქტი და, ვთქმირობთ, თავისუფალ კავ-
 კასიაში სინამდვილეთ აქცევენ აქ, უცხოეთში, დადებულ
 ხელშეკრულებას.

ჩვენის აზრით მთლიან კავკასიას შეუძლია უშუამავლოთ
 პირდაპირ გახდეს წევრად საერთო ეკრობის კონფედერაციის.

საერთო ეკრობის ფედერაციის წევრად შეიძლება რუსე-
 თიც გახდეს.

ჩვენ რომ რუსეთთან ერთ ფედერაციაში ე. ი. აღმოსავ-
 ლეთ ეკრობის ფედერაციაში შევიდთ, რომელშიდაც უსა-
 თუოთ რუსეთის გავლენა დიდი იქნება, სად არის იმის გა-
 რანტია, რომ ჩვენი ინტერესი, როგორც ფედერაციის სრულ
 უფლებიანი წევრის დაცული იქნება!

რუსეთმა, თუმცა სხვა პირობებში, მაგრამ ორჯერ ვერა-
 გულად დაარღვია საქართველოსთან დადებული ხელშეკრუ-
 ლება და ამ გარემოებას ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ და უფრო
 სიფრთხილით უნდა მოვეპრათ მომავალში მის დაპირებებს.

ანდა სად არის იმის გარანტია, რომ რუსეთის სინამდვი-
 ლეში გაიმარჯვებენ ის ძალები, რომელიც დღეს ფედერა-
 ციაზე ლაპარაკობენ!

ჩვენთვის არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. გართლაც რომ სერიოზულად დაღეს საკითხი საქართველოს ან კავკასიის რუსეთთან ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში შესვლის შესახებ, როგორი პოზიცია უნდა დავიკავოთ ამ შემთხვევაში? შეუდგეთ ამ საკითხის გარევევა-განმარტებას რუსეთთან დამოუკიდებლათ სხვა ჩვენ მდგომა-რეობაში მყოფ ერებთან თუ არა?

ჩვენის აზრით დღეს საქართველო მარტო არ არის და არც საქართველოს ან კავკასიის საკითხი არსებობს განჩარ-ტოებულათ. თუმცა, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ჩვენი ქვეყნების მდგომარეობა და მნიშვნელობა საერთოთ სხვადე-ბოდეს სხვებისგან, მაგრამ დღეს-დღეობით ჩვენ იმავე მდგო-მარეობაში ვართ, როგორც საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ერები. კიდევ მეტი—მეორე ომის დამთავრების შემდეგ, დღეს ჩვენ ბედის ინიარებდნ მთელი რიგი სახელმწიფოებისა, რომელიც 1939 წლამდი სრულიად დამოუკიდებელი იყონენ. მაგ. პოლონეთი, ბალტიის ქვეყნები, უნგრეთი, რუმინეთი და სხვ... ჩვენი ბედი ამ ერებთან გადაჯაჭვულია. განთავისუფლ-დება რომელიმე მათგანი—უნდა ვიგულისხმოთ მოახლოვდე-დება ეძმი ჩვენი განთავისუფლებისაც... საყოველთაოთ ცნო-ბილია ის სოლიდარობა, რომელიც ამ ეროვნებათა ემიგრან-ტულ წრებში არსებობს. ამის დამამტკიცებელია ის პოლი-ტიკური თუ აპოლიტიკური საერთო ორგანიზაციები, რო-მელიც ამ ეროვნებათა ემიგრაციაში შექმნა უცხოეთში. ამ ორგანიზაციებში ვერ ვხდავთ მხოლოდ რუსეთის ემიგრა-ციის წარმომადგენელებს... არც იმ გრანდიოზულ (პოლიტი-კურ) —ანტიბოლშევიურ დემონსტრაციებში, რომელიც იქმნა ამა წლის აპრილის ოვეში მოწყობილი გერმანიის სხვა-დასხვა ქალაქებში, მიუღია მონაწილეობა რუსის ემიგრაციას..

იბადება საკითხი: რისთვის არ დგას ამ საერთო ანტი-ბოლშევიკურ ფრონტი რუსის ემიგრაცია? მაშ საბოლოო მიზანი რუსების და არა რუს ერების სხვადასხვა ყოფილა! არა რუსი ერები იბრძვიან, როგორც ბოლშევიზმის, ისე რუ-სული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს იციან რუსებმა და, ალბათ, ამისთვის გაურბიან ჩვენთან ერთ ფრონტში ყოფნას.

აი ყოველივე ეს გვავალებს ჩვენ, რომ სეპარატიული ნაბიჯების გადადგმას რუსეთის მიმართ უნდა ვერიდოთ, თუ გვინდა რომ ის სოლიდარობა, რომელიც დღეს-დღეობით რუსეთის მიერ დაპყრობილ ეროვნებათა შორის არსებობს— შევინარჩუნოთ.

ჩვენ დიდათ მოხარული ვიქებით თუ რუსეთის სინამ-დვილებში გაიმარჯვებენ ისეთი ძალები, რომელიც აღიარე-ბენ ადამიანის და ერის თავისუფლებას. ასეთ რუსეთთან და-მოუკიდებელი საქართველო შესძლებს კეთილ-მეზობლურ ურთიერთობის დამყარებას.

აღ. გორგაძა.

26 მაისის დღესასწაული უცხოეთში.

პ ა რ ი ზ ი.

ოცდაექვსი-მაისი, დღე, ქართველი ერის თავისუფლების ალდგომის და დამოუკიდებლობის, წელს განსაკუთრებული ზეიმით პარიზის ქართველთა კოლონიამ იდლესასწაულა.

პარიზის ცნობილ პიერ შარონის სამ დიდი «ამპირის» სტილის დარბაზში ამშენებდენ ქართული ფერები.

მრავლათ მოსულ უცხო და ქართველ საზოგადოებამ მა-
ლე გავსო ეს ვებერთელა დარბაზი, რაც საუცხოვოთ განა-
თებულია და თავმოყრილ საზოგადოებას ამაყად თავს დას-
ტეროდა საქართველოს ვებერთელა თეთრი გიორგის ლერბი,
რომელიც სპეციალურათ ამ დღისთვის დახატა ქართველმა
მხატვარმა ბ-ნ ვარლამიშვილმა.

უკვე საღამოს ხუთი საათია, საპატიო ტრიბუნაზე ად-
გილს იყავებენ პარიზის ქართველთა ასოციაციის თავმჯდო-
მარესთან ერთათ გამგეობის წევრები.

უკვე მოუთმენლათ ელოდა საჭირო სხდომის განსხას,
მაგრამ რატომლაც კოლონიის თავმჯდომარე ბ-ნი ზურაბი-
შვილი სხდომის განსხას აგვიანებს. უცდიან მცხოვან მოხუცს,
ქართველი ერის ბელადს, დამოუკიდებელი საქართველოს
პრეზიდენტს ბ-ნ ნ. ურბანიას.

დარბაზში წინა რიგში მოსჩანს საქარ. საგარეო საქმეთა
მინისტრი ბ-ნი ევ. გეგენევორი, რომელიც ინიჯათ ესაუბრება
უცხო სტუმრებს და მილოცვებს იღებს ღიმილით. მის ახლოს
ზის საქარ. ელჩი პარიზში ბ-ნი აკ. ჩხერიელი, რომლის ფერ-
მკრთალ სახეზე ამოიკითხავთ აღლევებას. ყურადღებით ათვა-
ლიერებს წინა რიგებში მსხდომ მრავლა თ მოსულ ფრანგ და
სხვა მოძმე ერთა წარმომადგენლებს, ესალმება და ესაუბრე-
ბა მათ.

მთელი ქართველი ემიგრაცია მომცინარი და მხიარული
დღეს აქ არის, ყველა დარბაზისლურათ საუბრობს. ამათ მხარს
უმშევებეს 17—18 წლის ახალგაზრდობა, რომელიც აქ, საფრან-
გეთში, დაიბადა, გაიზარდა, მაგრამ ცალ-ცალკე და ყველა
ერთად უპირველეს ყოვლისა ქართველია. ეტყობა, ამ ახალ-
გაზრდისათვის დაუვალებიათ უცხოელთა და საპატიო
სტუმართა წინა რიგებში მოთავსება. ყველა დამსწრეს ამ
ახალგაზრდამ გულ-მკერდი ქართული დროშით მოურთო.
ყველა დამსწრე ქართველი დღეს რაღაც განსაკუთრებულ სი-
ხარულს მისცემია...

და აპა, უკრათ შესწყდა ლაპარაკი, დიდ მარმალილოს
კიბესთან მდგომი საზოგადოება უკრათ გაირღვა და დარ-
ბაზში ყველა ერთბაშათ წამოდგა, გაისმა ცხარე ტაშის კვრა,

შემოვიდა ახოვანი, აშოლტვილი ტანის შავ კოსტიუმში ჩა-
ცმული მცხოვანი მოხუცი ქართველი ერის მესაიძუმლე და
უსაყვარლესი პიროვნება საქართვ. ოსპუბლიკის პრეზიდენ-
ტი ნოე უორდანია. მის მკრთალ გაბადრულ წმინდა ქართულ
სახეობ ოდნავ ღიმილი იხატებოდა, სიყვარულით და ალერ-
სით გადაავლო მან თვალი დამსწრე საზოგადოებას. მას გვერ-
დით ედგა მნენე მისი მეულე. საპატივო პირველ რიგში ად-
გილი დაიკავა.

ქალბატონ ლ. აბდუშელიშვილისამ, ქართველთა კოლო-
ნის თავმჯდომარის მოადგილემ, ტრიბუნა დასტოვა, ბ-ნ
ნოე უორდანიას გულის პირი ქართული ტროშით მოურთო,
ოცდაექვსი მაისი მიულოცა. ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა მიულო-
ცა რა ოცდაექვსი მაისი რესპუბლიკის პრეზიდენტს და სახე-
იმო სხდომა გახსნილათ გამოაცხადა. ეროვნულ ტანსაცმელ-
ში გამოწყობილ ქართულ გუნდმა შეასრულა ქართული პიმინი
«დიდება». გუნდს ფეხში ამდგარი საზოგადოება აყვა. ბევრს,
განსაკუთრებით მოხუცს, თვალები ცრემლებით ევესო. ნოე
უორდანია ამაყათ და მხნეთ იდგა ფეხში, სახე კიდევ უფრო
ფერმკრთალი ქონდა და ამ მის მკრთალ სახიდან უფრო მეტი
სიძლიერით მისი თვალები ციმციმებდა, ანაოებდნ და დიდს
იმედს და ურყეობას გამოსატავდენ.

პიმინის დასრულების შემდეგ ბ-ნ ლ. ზურაბიშვილმა ფრან-
გულათ წარმოსთქვა დიდი გრძნობით მეტათ შინაარსიანი სი-
ტყვა. მაღლობა გადაუხადა საფრანგეთს იმ დიდი სტუმართ-
მოყვარეობისათვის. რომელიც მან ქართველებისადმი გამო-
იჩინა, გამოსთქვა დიდი სიხარული, რომ საფრანგეთმა ასე
მალე გადაიგდო კუჟაციის მძიმე ულელი, გააცნო დამსწრე
საზოგადოებას, თუ რას ნიშნავს ბედი დაპყრობილ დამონე-
ბული ერის და გამოსთქვა იმედი ახლო მომავალში ქართვე-
ლი ერის თავისუფლების და ოცდაექვსი მაისის თბილისში
ზეიმობის.

შემდეგ ბ-ნი ზურაბიშვილი სიტყვას აძლევს ბულლარის
წარმომადგენელს, რომელმაც თავის მქუჩარე სიტყვაში მოუ-
წოდა ქართველ ერს მხნეობა, უთხრა, რომ ის ახლა ამ დიდ
უთანასწორო ბრძოლაში მარტო არაა და შორს არ არის ის
დრო, როდესაც სულ მალე რუსეთის ტირანია დაემხობა და
თავისუფალ ბულლარეთთან ერთათ მებრძოლ თავისუფალ
საქართველოსთან ხელიხელ ჩაკიდებული გამოვლენ საკაცო-
ბრიო თავისუფლების გზაშე.

შემდეგ ილაპარაკა სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის
წარმომადგენლებმა. ყველამ ერთხმათ მიულოცა ქართველო-
ბას ოცდაექვსი მაისი, მოითხოვდენ ერთათ ბრძოლის აუცი-
ლებლებისა და თავისუფლების მოპოვების შემდეგ არ გამო-
რებას იმ შეცდომების, რაც მოხდა წინეთ მათ შორის.

დასასრულ ქართულათ სიტყვა წარმოსთქვა პარიზის ქარ-
თველთა კოლონიის მდივანშა ბ-ნ ლევ. ფალავამ, რომელმაც

თავისი სიტუაცია დაიწყო ასე: ოცდაექვსი მაისი ქართველ ერს აკონებს იმ დიად მოვლენას, რაც დატრიალდა ამ ოცდათვერთ-მეტი წლის წინათ საქართველოს დედა-ქალაქ თბილისში და რაც სარჩულათ დაედო ქართველი ერის ყოფა-ცხოვრებას. ქართველებმა ამ დღეს დასურა თავისი ისტორიის ერთი ფურ-ცელი და დაიწყო მეორე, რაიცა მოასწავებდა ერთდაიმავე დროს ერთი ხანის მეორე ხანით, ერთი დროის მეორე დროით, ერთი წყობილების მეორე წყობილებით შეცვლას. და აი ეს განახლება ქვეყნის, ქართველი ერის მეობა მსოფლიოს ამცნ ქართველი ერის ბელადმა, საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარებ, ნ. ურბანიამ, რომელმაც აღმართა დროშა ქართველი ერის თავისუფლებისა, დამოუკიდებლობისა და თვითგამორკვევისა (ტაში). შემდეგ ის თავის სიტუაციში შეეხო დამოუკიდებელ საქართველოს განვითარებას, გარეშე ძლიერი ძალთა თავდასხმით მის დაპყრობას და თავისი სიტუაციის დასასრულს მან სთქვა, რომ ოცდაექვსი მაისი ისეთი სიძლიერით ჩაეწეოთ ყველა ქართველს სულში, რომ მისი აღმოფხვრა არავითარ ძალას არ ძალუს. ოცდაექვსი მაისი ერთდაიმავე დროს ყოველი ქართველისათვის არის დღე სა-ქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის, დღე ჭეშმარიტი აზრის, დღე შეუზრყველი იმედის...

შემდეგ ფრანგულათ «კომედი ფრანცუზ»-ის გამოჩენილ მსახიობმა, ბ-ნ გ. ყიფიანის ლექსი ქართულიდან ფრანგულათ ნათარგმნი პრონაათ მიძღვნილი დედისადმი წაიკითხა.

ყველა ორატორები დამსწრე საზოგადოებამ მსურვალე ტაშით დააჯილდოვა.

არტისტიული პროექტიამა მშვენივრათ შეასრულეს. ბ-ნ წილოსანის ლოტტიარობით ქართულმა გუნდმა იმდერა რამ-დენიმე სიმღერა—მათ შორის «სამშობლო», «მაღლობშე გად-მოძგარიყო» და სხვა. ბ-ნ ს. კოხჩეიძის ხელმძღვანელობით ქართველ მექონგურებმა შეასრულეს ქართულ-მეგრული სიმღერა—შაირები.

შეიმით დაბოლოვდა ქართული განთქმული სხვადასხვა ცე-კვით, რასაც ბ-ნი ლეკ-ფალავა აცხადებდა და უცხო საზოგა-დოებას უსსნიდა. სხვადასხვა ცეკვა შეასრულა ქ-ნ მ. დადია-ნის ასულმა, ქ-ნ დარეჯანიძისამ, ლეონე წერეთლის ასულმა, ბ-ბ. კოხჩეიძემ, დარეჯანიძემ, რ. წერეთლმა, სამმა ძმამ მე-ლუამ. საზოგადოება მოცეკვავებს შეხვდა ღიძი ავაციით, განსაკუთრებით ალსანიშნავია, უდიდესი ენტუზიაზმი გამოი-წვია ანალგაზრდა და-ძმაშ ელენე და როსტომ წერეთლმა. ბ-ნ ლ. ფალავამ დამსწრე საზოგადოებას აუწყა, რომ დარბაზში იმ-ყოფებოდა საფრანგეთის პარიზის თეატრის (კნობილი ვარსკვ-ლავი (ეტუალი) ივ. შოვირე, რომლის თხოვნით და-ძმა წერე-თლებმა გაიმეორეს ცეკვა და ქალბატონი შოვირე აღფრთო-ვანგბაში მოიყვანეს.

ბუფეტს ხელმძღვანელობდა ქართველ ქალთა კომიტეტი.

ამ კეთებულ ტელა ბუფეტს შესანიშნავათ უძლოდენ: ქალბატონები: მარ. ლოდაბერიძის ასული, მ. დადიანის ასული, ლ. ნოზაძისა და ქართ. კოლონიის თავმჯდომარის მოადგილე ლუბა აბდუშელიშვილისა. შემოსასელელ კარებში სტუმრებს ხედებიდენ ქართველი მანდილოსნები ქ.ნ სარჯველაძისა და ბერეჟიანისა. დილის სამ საათზე ძლიერ ნასიამოვნები მადლიერი საზოგადოება დაიშალა.

დაშსწრე.

მ ი უ ნ ს ე ნ ი ს ტე

ა.წ. 26 მაისს შესდგა მიუნჩენის ქართველთა საზოგადოების სახეობო სხდომა საქართველოს დამოუკიდებლობის 31 წლის თავის აღსანიშნავათ. სახეობო დარბაზი მორთული იყო ცოცხალი ყვავილებით, კედელს ამშვენებდა ეროვნული სამფერი ღრუშა და საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ბ. ნ. კორდანის, სურათი.

სახეობო სხდომა გახსნა მიუნჩენის ქართველთა კოლონიის თავმჯდომარებ ბ. ალ. კორდაიამ. საზოგადოებამ ფეხშე ამდგარი შეასრულა ეროვნული პიმი «დიდება». — ბ. ალ. კორდაიამ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა; აღნიშნა 26 მაისის მნიშვნელობა და ქართველ საზოგადოებას მოუწოდა ერთობისაკენ. მან განსაკუთრებით მხურვალე მოწოდებით მიმართა ახალგაზრდა ქართველ თაობის წარმომადგენლებს, რათა ისინი აქტიურად ჩაებინ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში, როგორც მომავალში ძეველი თაობის შემცვლელნი და ბრძოლის გამგრძელებელი.

ვრცელი ფრიად საინტერესო და საყურადღებო მოხსენებით გამოვიდა ბ. პროფ. მიხეილ წერეთელი. თავის შესხენებაში მან აღნიშნა საქართველოს მრავალ-საუკუნოვანი პოლიტიკურ-სახელმწიფო მომენტი ისტორიის მრავალი ფაქტი, რომელიც სულიერ და ლოლიკურ საფუძვლად დაედგა 1918წ. 26 მაისის დიდს ეროვნულ აქტს. აღნიშნა 26 მაისის აქტის თანამედროვე დიდი მნიშვნელობა და მისი აუცილებელი ღირებულება მომავლისათვისაც.

ბ. მიხ. წერეთლის მიერ მეტად ობიექტიურ განხილვამ საქართველოს დამოუკიდებლობის ხანის ისტორიისა, იმ დროინდელი მოვლენების მიუდგომელ შეფასებამ და ჩვენი მთავრობის მუშაობის ობიექტიურ განსჯამ, დიდი და სასიამოვნო შთაბეჭილება მრახდინა დამსჩრეებენ, განურჩევლათ პარტიულობისა. მომხსენებელი მხურვალე ტაშით საზოგადოებამ დააჯილდოვა.

ბ. მ. წერეთლის შემდეგ მოყლე სიტყვით გამოვიდა ბ. ვ. გუნია. მან მოიგონა გვარითისა და ჯარის სამშობლოს დასაცავათ წარმოებული გმირული ბრძოლების ეპიზოდები.

დასასრულ მთელმა საზოგადოებამ ერთხმათ გამოიტანა დაფგნილება და სთხოვა ბ. ა. კორდაიას მიუნჩენის ქართველ-

თა საზოგადოების სახელით მუშარვალე მისალმება გადასცეს საქ. დემოკრ. ოქსპუბლიკის მხცოვან პრეზიდენტს ბ. ნ. უორ დანიას, უსურვოს მას კვლავ ხანგრძლივი ჯანმრთელი სიცო. ცხლე. საზოგადოებას იმედი აქვს, რომ იგი, მთავრობის სხვა წევრებთან ერთათ, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლას აწარმოებს. საზოგადოება გამოსთქვამს რწმენას, რომ ბ. ნ. უორდანიას მეთაურობით საბოლოო გამარჯვებას მივალწევთ.

საქეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა მეგობრული ბანკეტი, რომელსაც სხვათა შორის დაესწრენ უსუცესი წევრები ბ.ბ. მის. წერეთელი და დ. ვაჩნაძე. ქართულ სუფრას ხელმძღვანელობდა ახალი თაობის წარმომადგენელი ბ. ს. ბარათელი. ამ სუფრაზე გამომქვანდა ძევლი და ახალი თაობის მეტად გულ-თბილი ერთობა და ურთიერთის გაგება. განსაკუთრებით გაიხარეს ძევლებმა, რომელთაც ახალგაზრდათა წარმოთქმულ სიტყვებში, ქართულ ცეკვებში და სიმღერებში, ნათლათ დაინახეს ძევლებური ეროვნული ტრადიციების და ჩეკულების კარგათ შენახვა და დაცვა. გამოსთქვეს იმედი, რომ მამაპაპა-თა ნაცად გზას შემცვლელი თაობაც ღირსეულათ გაპყვება და ჩვენს ქვეყანას სასახელოთ გაუძლვება.

ს ა მ ღ.

სოშოს (საფრანგეთი) ქართველთა კოლონიამ იდლესას-წაულა ჩვენი ეროვნული დღესასწაული 26 მაისი. ღილის ათ საათზე, საზოგადოების დარბაზში, რაც მორთული იყო ჩვენი პოლიტიკური მოღვაწების და პოეტების სურათებით, სა-დღესასწაულო კრებას ხსნის თავმჯდომარე კ. ორაველიძე, რომელმაც დამსტრეტ მოაგონა 26 მაისის წარმოშობა, მის-თვის ბრძოლა და დროებით მისი დაკარგვა. შემდეგ ილაპა-რაკეს ბ. გრ. აბულაძემ, ალ. შათირიშვილმა და ლ. გელენიძემ. დასასრულ შეასრულეს ქართული ეროვნული პიმნი «დიდება». შემოიტანეს წინადადება, რომ გაეგზავნოს მილოცვის წერილი ბ. ნ. უორდანიას. ამის სისრულეში მოყვანა დაევალა კოლონიის გამგეობას. შემდეგ ამისა გაიმართა ბანკეტი. სა-ზოგადოება ნასიამოვნები დაიშალა.

ი. ბ—ი.

ბ. კემულარია მუშაობს ქართული ენის კათედრის შესა-ქმნელათ სორბონაში. უკკე შედგა საინიციატივო კომიტეტი ქართველ და ფრანგთა შემადგენლობით, რომელმაც დაარიგა შესაფერი მოხსენება და პასუხათ მიიღო სხვადასხვა უცხო ცნობილ პროფესორების და სწავლულთაგან სრული თანა-გრძნობა.

ქართველი ემიგრაციის ვალი ჩაერიოს ამ საქმეში და დაეხმაროს ამ დიდი მიზნის განხორციელებას.

Le Gérant: M. Stouroua.

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.